პროლეტარიებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ქართული ფაშიზმი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 35 (5136) | შაბათი, 12 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის წლისთავი.
სკოლებს — სტაბილური სახელმძღვანელოები (მეოთხე).
გათავხედებული რუმინელი ავანტურისტები („პრავდის" სარედ. სტატია.—მე-2 გვ.)
ღონისძიებანი გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად (1-ლი გვ.).
ქავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ნიხრებისა და ტარიფების შესახებ (მე-2 გვ.).
გ. მიხანაშვილი — საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას — მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა (მე-2 გვ.).
პროფ. მოსე გოგიბერიძე — შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი (მე-3 და მე-4 გვ.).
ვიქტორ გაბესკირია — ნა ამბოხი სამოქალაქო ომში დაღუპულთა შესახებ (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
ამხ. ხოზე დიასის სტატია (1-ლი გვ.).
გოგას მთავრობა გადადგა (მე-2 გვ.).
საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.).

სკოლებს — სტაბილური სახელმძღვანელოები

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების შედეგად საბჭოთა სკოლამ, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის დიადი პრინციპებით შენდებოდა და შენდება, უდიდესი წარმატებები მოიპოვა. ძირფესვიანად გაუმჯობესდა საბჭოთა მასწავლებლობის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, არაჩვეულებრივ გაფართოვდა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელი, განმტკიცდა სკოლის მატერიალური ბაზა, გაუმჯობესდა პროგრამები და სასწავლო გეგმები. მრავალ სასწავლო - სამეცნიერო დისციპლინაში გვაქვს პედაგოგიურად სწორად დამუშავებული სტაბილური სახელმძღვანელოები.

ეს წარმატებანი მოპოვებულია სკოლისადმი, სახალხო განათლებისადმი ლენინ-სტალინის პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით უზრუნველჰყვეს ყველა პირობა ჩვენი სკოლის უნაკლოდ მუშაობისათვის.

საბჭოთა სკოლის წარმატებით მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 12 თებერვლის დადგენილება „დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების შესახებ".

ამ დადგენილებაში ნათქვამია: სკოლის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ „სწავლება სკოლაში არ იძლევა საკმაო მოცულობის საერთო - საგანმანათლებლო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად სწყვეტს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლისათვის სავსებით მკოდნე ადამიანთა მომზადების ამოცანას, რომელთაც კარგად ეცნობათ შეთვისებული მეცნიერების საკუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, დედა-ენა, გეოგრაფია და სხვ.)".

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აუცილებელ და გადამწყვეტ პირობად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სახალხო განათლების ორგანოებს დაუსახა ყველა საგანში სტაბილური სახელმძღვანელოების შემოღება, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ სახელმძღვანელოების დაუსრულებელი „დაპროექტების" მანამდე არსებულ „ვეთოდს".

სკოლის კვდომის ანტილენინური თეორიის აპოლოგეტთა ამ დაგმობილი „მეთოდის" მეოხებით საქართველოს სინამდვილეში განსახკომის წინანდელი ვაი-ხელმძღვანელები ფართოდ ნერგავდნენ ეგრეთწოდებულ „დაფანტულ წიგნებს", „ჟურნალ - სახელმძღვანელოებს", „სამუშაო წიგნებსა" და სხვა მსგავს, „ყველაფრის შემცველ-ბრიშურებს. ამ „წიგნებში" ყველაფერი იყო ერთმანეთში დომხალივით არეული, მაგრამ მეცნიერებათა საფუძვლებზე კრინტიც არ იყო დაძრული. ეს წიგნები მოსწავლე ახალგაზრდობას არ აძლევდა სისტემატურ ცოდნას შესასწავლ საგნებში, ხელს არ უწყობდა სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

განსახკომსა და სახელგამში მოკალათებული უკვე გამომჟღავნებული მტრების ბნელი საქმიანობის მიუხედავად, საქ. განათლების სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო გამომცემლობას ამჟამად, დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების ხუთი წლისთავზე, გარკვეული წარმატებები აქვთ. სკოლებს შესასწავლი საგნების დიდი ნაწილისათვის მოეპოვებათ სტაბილური სახელმძღვანელოები, როგორც, მაგალითად, პროფ. ა. შესტაკოვის „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის" თარგმანი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათიები მე-5, მე-6, მე-8, მე-9 კლასებისათვის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის სახელმძღვანელოები და სხვ.

მაგრამ სკოლების სტაბილური სახელმძღვანელოებით მომარაგების მხრივ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. ის ფაქტი, რომ წლევანდლამდე გამოცემული ანბანის ყველა სახელმძღვანელო უვარგისი და მიუღებელი გამოდგა და ახლა სკოლებში სახმარებლად მიღებული სახელმძღვანელოც შემდგომ გადამუშავებას მოითხოვს, იმას ამტკიცებს, რომ განსახკომი და სახელგამი კვლავ არასაკმაო სერიოზულობით უდგებიან სკოლებისათვის ისეთი სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საკითხს, „რომლებიც გათვალისწინებულ იქნება სახმარებლად რაც შეიძლება მეტი წლების განმავლობაში".

1935-1936 სასწავლო წელს გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელო მესამე კლასისათვის. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებული იყო რამდენიმე იდეოლოგიურად მიუღებელი მოთხრობა, რის გამო საჭირო გახდა ამ წიგნის ხელახლა გადამუშავება. ამ მხრივ ბევრი სხვა სახელმძღვანელოც მოითხოვს გადასინჯვასა და შესწორებათა შეტანას.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო გამომცემლობამ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უზრუნველჰყვეს ჩვენი სკოლა ყველა სახელმძღვანელოთი. სკოლებს ახლაც არა აქვთ ქართული ლიტერატურის ისტორიის, გრამატიკის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის სტაბილური სახელმძღვანელოები. განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელგამმა ვერ შესძლეს ამ სახელმძღვანელოთა შედგენაში ჩაებათ სამეცნიერო - საკვლევო დაწესებულებანი, სამეცნიერო ძალები, გამოცდილი პედაგოგები, საბჭოთა მწერლები.

სახელმძღვანელოების სტაბილურობის ერთერთ ხელისშემშლელ მიზეზს ზოგიერთ საგანში (ფიზიკა, გეოგრაფია) ტერმინების დაუზუსტებლობაც წარმოადგენს. სახელმძღვანელოთა ნაწილის (ლიტერატურის ქრესტომათია მე-3 კლასისა, გეოგრაფიის სახელმძღვანელოები) ფორმატი, ყდა, ქაღალდი, გარეკანი, სურათები და საერთო გაფორმება ძალიან ხშირად უვარგისია და არ შეეფერება სტაბილური სახელმძღვანელოსათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. ხუთი წელი ჩვენი სინამდვილისათვის არც ისე ცოტა დროა, რომ ამ ხნის განმავლობაში სახალხო განათლების ორგანოებს ვერ უზრუნველეყოთ სკოლები სტაბილური, „საერთოდ მიღებული და მეცნიერების მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი" სახელმძღვანელო წიგნებით, რასაც ასე მოელის მათგან ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა.

განათლების სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო გამომცემლობის სპპასუხი და პასუხსაგები ამოცანაა — მომავალი სასწავლო წლიდან მაინც მიაწოდონ ჩვენს სკოლებს პარტიისა და ხელისუფლების მითითებათა საფუძველზე უნაკლოდ შედგენილი სახელმძღვანელოები.

ომი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას მოგებული

ამხ. ხოზე დიასის სტატია

ბარსელონა, 10 თებერვალი (საკდესი). „ფრენტე როხო" აქვეყნებს ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ამხ. ხოზე დიასის სტატიას, სადაც ავტორი აღნიშნავს კორტესების (ესპანეთის პარლამენტი) უკანასკნელი სესიის უდიდეს მნიშვნელობას. კერძოდ, იგი აღნიშნავს იმ სიმტკიცესა და ენერგიას, რომლითაც ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნეგრინმა უარჰყო ყოველგვარი შეთანხმების საძლებლობა მოლაპარაკებისა დროებითი ზავის შესახებ. ამხ. ხოზე დიასი ჩამოსთვლის მთელ რიგ დადებითს ფაქტებს, რომლებიც სიმტკიცეს აძლევენ რესპუბლიკურ ესპანეთს. ამ ფაქტებს ეკუთვნის: რესპუბლიკის თავდაცვისა და საშინაო ცხოვრების ზოგიერთ უყველაზე უფრო მწვავე პრობლემათა გადაწყვეტა, რამაც შექმნა ატმოსფერო განსხვავებული იმისაგან, რომელიც გამეფებული იყო ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ. ამ თვალსაზრისით ამხ. დიასი აღნიშნავს წინსვლას ერთიანობის გზაზე, უკონტროლო ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაციას ესპანეთში, კაბალიეროს ჯგუფის მხრით გათიშვის ცდის ლიკვიდაციას, ფაშიზმის ტროცკისტი აგენტების კანონგარეშე გამოცხადებას და მძლავრი არმიისა და რეზერვების შექმნას, რამაც გამოიწვია გამარჯვება ტერუელის ფრონტზე და მტრის შემოტევის გეგმების ჩაშლა.

„მაგრამ სასიხარულო ფაქტებმა, — სწერს ამხ. ხოზე დიასი, — არ უნდა დაჩრდილოს ის ამოცანები, რომლებიც ჯერ კიდევ დგანან ესპანელი ხალხის წინაშე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველი გამარჯვებანი ბოლოს მოუღებენ უცხოეთის ინტერვენციას. იგრძნორა რესპუბლიკური ესპანეთის ძალა, მტერი მობილიზაციას უშვება ახალ რეზერვებს და იარაღისა და თვითმფრინავების ახალახალ პარტიებს უგზავნის მეამბოხეებს". ამხ. ხოზე დიასი იძლევა რჩევას, ამიტომ, ნაკლებად მიეცნენ ზეიმს, გაძლიერონ სიფხიზლე და ემზადონ შემდგომი ბრძოლისათვის.

„ყველა ეთანხმება იმას, — აღნიშნავს ამხ. ხოზე დიასი, რომ ყველაზე მეტი ზიანი ესპანეთის საქმეს მოუტანა უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დაგვიანებულმა გადაწყვეტამ. იმაში, რომ სახალხო არმიის წარმატებებს ჯერ კიდევ არ აქვთ გადამწყვეტი ხასიათი, დამნაშავეა, რასაკვირველია, არა ხალხი, რომელიც მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევს თავისი სიმამაცითა და პოლიტიკური შეგნებით. ნეგრინი მართალი იყო, როდესაც განაცხადა, რომ ასეთი ხალხით შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ გამარჯვებაში, თუნდაც ომი ორ წელს გაგრძელდესო. საკითხი მდგომარეობს არა იმაში, თუ რამდენ წელს შეიძლება ომი აწარმოო, არამედ იმაში, თუ როგორ მოიგო იგი რაც შეიძლება მალე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება შეჰქმნა ისეთი ძალა, რომელიც მტრის ძალებს აღემატება. ამიტომ ესპანეთის კომუნისტური პარტია მთელი ენერგიით ერთხელ კიდევ აყენებს შემდეგს სამ პრობლემას: ახალი რეზერვების შექმნა, სამხედრო მრეწველობის განმტკიცება და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება ფრონტებზე და ზურგში.

„ესპანეთის კომპარტია ამტკიცებს, — სწერს შემდეგ ამხ. ხოზე დიასი, — რომ სამხედრო მრეწველობის საკითხი ომის ცენტრალური პრობლემაა მის ეხლანდელ ფაზაში. არ შეიძლება ყოველივე აუცილებელის ყიდვა საზღვარგარეთ. საჭიროა იარაღის დამზადება ჩვენი ქვეყნის შიგნით. არ უნდა განმეორდეს ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ჩრდილოეთ ესპანეთში, როცა რესპუბლიკელთა ქვეითა ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია მხოლოდ იმიტომ, რომ მტერს მატერიალური უპირატესობა ჰქონდა. ეს უპირატესობა რესპუბლიკის მხარეზე უნდა იქნეს. უნდა მოვახდინოთ საწარმოო აპარატის ცენტრალიზაცია. უნდა ჩავატაროთ კადრების დიდი წმენდა სამხედრო მრეწველობაში და დავრაზმოთ მუშათა და ტექნიკოსთა მასები".

„პოლიტიკური მუშაობა ზურგში და ფრონტზე, — აღნიშნავს ამხ. ხოზე დიასი, — დღეს კიდევ უფრო აუცილებელია, ვიდრე პური და ჰაერი: ფრონტზე, — რათა განვავითაროთ მაქსიმალური ენტუზიაზმი და გმირობა თვითეულ ძეომარში, ვასწავლოთ მას არასოდეს არ დაიხიოს უკან და ამრიგად შეუძლებელი გახადოს მტრის მოულოდნელი იერიშები. ზურგში, — რათა ხალხმა მთელი თავისი ენერგია მოახმაროს საერთო საქმეს, უფრო ენერგიულად ებრძოლოს „მეხუთე კოლონას", რათა გარდუვალი მსხვერპლი გულმშვიდად იქნას გაღებული და რათა მთავრობას მხარი დაუჭიროს ყველა მშრომელმა".

„ეს სამი პრობლემა, — ასკვნის ამხ. ხოზე დიასი, — გადაიჭრება არა სიტყვით, არამედ მუშაობით, მთავრობის მუშაობით პროფკავშირებისა და სახალხო ფრონტის პარტიების მხარდაჭერის პირობებში. მასებმა კიდევ უფრო მეტად უნდა დაძაბონ ძალღონე. რაც უფრო ჩქარა წავა ყოველივე ერთიანობის გზით, მით უფრო მალე გადაიჭრება ეს პრობლემები. განვლილ გზას რომ გადავხედოთ, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გაუმჯობესება, რასაც ახლა ჩვენ ვამჩნევთ, დაიწყო იმ მომენტიდან, როცა კომუნისტური და სოციალისტური პარტიები ერთმანეთს დაუახლოვდნენ და დასდეს შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. სწორედ ამ ერთიანობამ დარაზმა მასები, გახადა დისციპლინიანი და აღაგზნო საბრძოლველად. საჭიროა გავწიოთ წინ — შრომის საციონალური კონფედერაციის და საყოველთაო მუშათა კავშირის მოქმედების ერთიანობისაკენ და პროლეტარული პარტიების გაერთიანებისაკენ. მაშინ დაიწყება ომის ახალი გადამწყვეტი ფაზა, როცა რესპუბლიკელთა იარაღი ისეთ ლახვარს ჩასცემს მტერს, რომლისგანაც იგი ფეხზე ვეღარ წამოდგება, და ხალხი, მთლიანად გაერთიანებული სახალხო ფრონტში, მტკიცედ გასწევს გამარჯვებისაკენ".

საქართველოს სსრ კონსტიტუციის წლისთავი

1937 წლის 13 თებერვალი სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის მეხსიერებაში: ამ დღეს სრულიადსაქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ უდიდესი ერთსულოვნებითა და აღფრთოვანებით დაამტკიცა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელიც მთლიანად და სავსებით აგებულია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპებზე.

საქართველოს ორდენოსანი რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, რომელმაც კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლათა და გამარჯვებათა მატიანეში, შეჯამებული და საკანონმდებლო გზით განმტკიცებულია ის უდიდესი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით.

ქართველმა ხალხმა გაიარა თავადთა, აზნაურთა და უცხო დამპყრობელთაგან ჩაგვრის შავბნელი საუკუნეები და განიცადა „ხალხთა საპყრობილის", — მეფის რუსეთის ბატონობის მძიმე უღელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა მხარეებში პატრიარქალურ - ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მასები" (სტალინი).

მენშევიკების ხანმოკლე და უბადრუკმა ბატონობამ არათუ არ გააუმჯობესა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა ქართველი ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობა. ხალხის მტრები — მენშევიკები რიგიგობით ჰყიდდნენ საქართველოს ხან ერთ და ხან მეორე კაპიტალისტურ სახელმწიფოზე. მათ სავსებით გააჩანაგეს საქართველოს როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა, გაძარცვეს ხალხი და გადაგვარების გზაზე დააყენეს დიადი ტრადიციების მქონე ქართული კულტურა და ხელოვნება.

თავისუფლების მოტრფიალე ქართველმა ხალხმა ბოლშევიკთა დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით ბოლო მოუღო როგორც თავად-აზნაურებისა და ცარიზმის ჩინოვნიკების ბატონობას, ისე საზიზღარ მენშევიკთა პარპაშს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შესაძლებელი გახდა ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქნა და მზიანი საქართველოს როგორც სახალხო მეურნეობისა, ისე კულტურისა და ხელოვნების გაუგონარი აყვავება.

საკავშირო მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის სისტემატური დახმარების, მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ქართველი ხალხის ღირსეული შვილის—ამხანაგ ლავრენტი ბერიას მტკიცე და განუხრელი ხელმძღვანელობის მეოხებით, საქართველო მეფის ჩამორჩენილი კოლონიიდან გადაიქცა თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული მრეწველობისა და მსხვილი კოლექტიური სასოფლო მეურნეობის ქვეყნად, მოწინავე კულტურისა და წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად.

საქართველოს მრავალრიცხოვან, მძლავრ ელექტროსადგურებს მოძრაობაში მოჰყავთ მძიმე, მსუბუქი, ადგილობრივი და კვების მრეწველობის ასობით საწარმონი, რომელთაგან ბევრი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ორი ათასზე მეტი ტრაქტორი და ათეულათასობით სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, იქ, სადაც წინათ მინდვრად უხვად იზრდებოდა ველური გვიმრა, ახლა საუცხოოდ ჰყვავიან ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, რომლებიც შეადგენენ ქართველი კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს.

უმაღალითოდ ამაღლდა მუშების, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინტელიგენციის კეთილდღეობა, კოლმეურნენი საბოლოოდ დადგნენ შეძლებული ცხოვრების გზაზე.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებამ მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი გააერთიანა ერთ მთლიან, განუყოფელ ძმურ ოჯახად, რომელსაც ვერ დაარღვევს ვერავითარი ძალა.

ხალხთა სტალინური მეგობრობით შეფუღეებული თერთმეტი თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკის მწკრივში საბჭოთა საქართველოს მაღლა უჭირავს ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის.

სოციალიზმის დიად წარმატებათაგან გაბოროტებულ მტრებს — ტროცკისტ - ბუხარინელ ნაძირალებს, რომლებმაც თავიანთი თავი მიჰყიდეს გერმანია - იაპონიის ფაშისტურ დაზვერვას, სურდათ ძირი გამოეთხარათ ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ!

ხალხის მრისხანების მძლავრი ქარიშხალი დაატყდა თავს ფაშიზმის აგენტთა ხროვას, რომლებიც ცდილობდნენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას.

ქართველი ხალხი, რომელიც ახლა უფრო მეტად არის შემჭიდროვებული, ვიდრე ოდესმე ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, შემდეგშიაც ძირფესვიანად გაანადგურებს ყველას, ვინც შეეცდება თავისი ჭუჭყიანი ხელი აღმართოს სოციალიზმის დიად მონაპოვრებზე, რომლებიც ოქროს ასოებით აღბეჭდილია ახალ კონსტიტუციაში.

დიადი სტალინური კონსტიტუციის ძვირფასი პირმშოს, — საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის დამტკიცების წლისთავს საქართველოს მშრომელნი ეგებებიან ახალი სიხარულითა და აღფრთოვანებით, ახალი დიდი მიღწევებით სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. **„და საქართველოს მშრომელთა გული აღვსილია სიხარულის გრძნობებით, დიდი მადლობით, სიყვარულითა და ერთგულებით დიდი სტალინისადმი რომელმაც ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებამდე მიიყვანა" (ბერია).**

დიდება და გამარჯვება ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ პარტიას!

დიდება და გამარჯვება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა დიდ ბელადს, ჩვენს საყვარელ სტალინს!

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

სიუჯოუ, 10 თებერვალი (საკდესი). ნანკინის სამხრეთ რაიონში 7 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა ქალაქ უხუს მიდამოებში. 6 თებერვალს ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდეს აეროდრომი. ნავთის საწყობებში, ქალაქის მახლობლად, გაჩნდა ხანძარი. ახლა ბრძოლა სწარმოებს ქალაქის ასაღებად.

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთი უბნის სექტორში ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს გაოჩენი (ფინ-იანის სამხრეთით).

„ივნინგ სტანდარტის" ჰონკონგელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩინური ნაწილები, რომელთაც წაართვეს უკან იაპონელებს ჯენძიანის პროვინციაში ქალაქი ფუიამი (ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით), აწარმოებენ შეტევას ხანჯოუს წინააღმდეგ.

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, ჩინეთის ჯარებმა ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბანზე განიზრახეს იაპონელთა შემოვლა დასავლეთიდან ქალაქ ლიანჯენის მიდამოებში (ბენპუს ჩრდილოეთით). გუშინ ჩინეთის თერთმეტმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა იაპონელთა პოზიციებს ბენპუს მახლობლად.

სიუჯოუ, 10 თებერვალი (საკდესი). გუშინ იაპონელთა 30 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ხანკოუს და ხანიანს. მათ ჩამოაგდეს 100-მდე ყუმბარა. ხანიანში დაგრეულია მრავალი სახლი.

ჩრდილო ჩინეთში

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ იაპონელთა ჯარებმა 40 კილომეტრით წაიწიეს წინ ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით. იაპონელებმა დაიპყრეს ნანლო (დამინის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და მიიწევენ ცინფინისაკენ (16 კილომეტრის მანძილზე ნანლოს სამხრეთით).

ჩინელების ცნობით ფრონტის ამ უბანზე თავმოყრილია 10 ათასი იაპონელი ჯარისკაცი. იაპონელი ჯარები აგრეთვე წინ მიიწევენ რკინიგზის გასწვრივ ჯანღედან.

სიუჯოუ, 10 თებერვალი (საკ. დესი). შანდუნის პროვინციაში იაპონელი ჯარები ორ კოლონად წინ მიიწევენ სამხრეთის მიმართულებით ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით. პირველი კოლონა მიდის გაომის მხრით (შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილი). ქალაქი ჯუჩენი აიღეს იაპონელმა ჯარებმა ძიუიჯოუ ჩინელების ხელშია. მეორე კოლონა მიიწევს გზატკეციოლის გასწვრივ ტაიანის მხრით (ძინანის სამხრეთით), ქალაქები სინტაი და მინინი იაპონელებმა აიღეს.

ღონისძიებანი გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო — უშაკოვს

სადგური „ჩრდილო პოლუსი", 9 თებერვალი. შვიდ თებერვალს ღამით ქარიშხლის ტალღამ გახეთქა საცხოვრებელი მოედანი, დაგლიჯა რადიოკარავი, გადაანგრია დატვირთული მარხილები, ავაგეთ თოვლის სახლი, გვარიანად მოვთავსდით.

8-ს პირველად დავინახეთ გრენლანდიის ნაპირები. მოვკალით სამი დათვი. 9-ს რადიო გავაკეთეთ ახალ ალავას გაშლილად. დილის 5 საათზე კოორდინატები შემდეგია — ჩრდილოეთის განედის 72 გრადუსი და 06 წუთი და დასავლეთის გრძედის 19 გრადუსი და 38 წუთი.

ვდრეიფობთ, მოსჩანს ნაპირი. არის მთლიანი 10 ბალიანი ყინული, იწყება შეყინვა.

ყველაფერი წესრიგზე გვაქვს. სალამი.

პაპანინი.

მეორე საუბარი კრენკელთან

„ტაიმირი", 10 თებერვალი (საკდესის სპეციკორის რადიო). მორიგი საუბარი კრენკელთან 18 საათსა და 30 წუთზე ჩინებული სმენადობიო ჩატარდა. გემზე ლაპარაკობდნენ მიკროფონით. კრენკელმა უპასუხა მორზეთი იმ დიდი კმაყოფილებისა შესახებ, რასაც იწვევს ადამიანის მახლობელი ხმის მოსმენა. ჰკითხულობდა დაწვრილებით — ვინ მოდისო გემით, ნაცნობებს სალამს უთვლიდა. შეეთანხმდით, რომ ერთმანეთთან კავშირი გვექნება ყოველდღიურად 12 საათსა და 30 წუთზე და 18 საათსა და 30 წუთზე. პასუხად მივიღეთ პირადი დეპეშები და უკვე გადავეცით ისინი.

ქარიშხალი თითქოს ცხრება, მაგრამ ჯერ დრეიფში ვართ და ამითაც თვითმფრინავებს ტალღებისაგან ვაცდით.

„ტაიმირის" ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

„ტაიმირმა" კავშირი დაამყარა პაპანინის ბანაკთან

საუბარი კრენკელთან რადიოტელეფონით

„ტაიმირი", 10 თებერვალი (საკდესის სპეციკორის რადიო). დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე დავუკავშირდით პაპანინის ბანაკს, ველაპარაკეთ კრენკელს რადიოტელეფონით. მათი ყინულის კოორდინატები შემდეგია — ჩრდილოეთის განედის 71 გრადუსი და 56 წუთი, დასავლეთის გრძედის 20 გრადუსი და 13 წუთი. ბანაკში ყველაფერი რიგზეა. არის შემჭიდროებული 10-ბალიანი ყინული, რომელიც იკვრება. თვითმფრინავის ძირდასაშვები ყინულოვანი მოედანი არ მოიპოვება. როცა ხანდახან სინათლე გამოკრთება, პაპანინელები ხედავენ შორს გრენლანდიის ნაპირს. იმათ შევუთანხმდით, რომ ჩვენთან რეგულარული კავშირი იქონიონ.

ჩვენი კოორდინატებია — ჩრდილოეთის განედის 71 გრადუსი და 50 წუთი, დასავლეთის გრძედის 10 გრადუსი და 18 წუთი. ჩრდილოეთიდან ძლიერი ქარიშხალია. ვდრეიფობთ ტალღის პირისპირ. ყველანი ჯანსაღად ვართ. ხომალდზე ყველაფერი რიგზეა.

„ტაიმირის" ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

პაპანინის ყინულისაკენ

„მურმანეცი", 10 თებერვალი (რადიო. საკდესის სპეც. კორ.). 7 თებერვალს, შუადღისას, „მურმანეცი" იმყოფებოდა ჩრდილოეთის ქარით მოყრილ ყინულში, იან-მაიენის კუნძულის მახლობლად. ძლიერი გრიგალი, რომელიც 12 ბალს აღწევდა, და ქარბუქი ხელს უწყობდნენ ყინულების ძლიერ შეკვრას. „მურმანეცის" ეკიპაჟი ამსხვრევდა 3-4 მეტრი სისქის ყინულს.

8 თებერვალს ქარი თითქმის სულ დაცხრა, მაგრამ ნამსხვრევი ყინულის დიდი ზოდები ხელს უშლიდა „მურმანეცის" წინსვლას. საღამოთი „მურმანეცმა" იწყო გზის გაკვლევა ყინულებში. 8-ბალიანი ფრთონა ხელს უწყობდა ჩვენს წინსვლას, რამდენიმე საათის შემდეგ დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ უყინულო წყალში გასვლა.

დღეს, 7 საათზე, ჩვენ ვიმყოფებით ჩრდილოეთის განედის 69 გრადუსსა და 05 წუთზე და დასავლეთის გრძედის 12 გრადუსსა და 04 წუთზე. ჰქრის 1-ბალიანი ჩრდილოეთ - ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ცა მოწმენდილია. ტემპერატურა — მინუს 4 გრადუსი.

„მურმანი", 10 თებერვალი (რადიო. საკდესის სპეც. კორ.). დღეს, 15 საათსა და 40 წუთზე, „მურმანი" იმყოფებოდა ჩრდილოეთის განედის 72 გრადუსსა და 05 წუთზე და აღმოსავლეთის გრძედის 05 გრადუსსა და 25 წუთზე. მივდივართ 10 კვანძის საშუალო სიჩქარით საათში, ჰქრის 6-ბალიანი ჩრდილოეთის ქარი. (საკდესი).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი

10 თებერვალს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

ამხ. ნ. ს. **ხრუშჩოვის** უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობის ამსრულებლად არჩევასთან დაკავშირებით პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. **ხრუშჩოვი** საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობის ამსრულებლად აირჩია ამხ. ა. ი. **უგაროვი.**

რუმინეთის ახალი მთავრობა

ბუქარესტი, 11 თებერვალი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იძლევა ცნობას ახალი კაბინეტის შემადგენლობის შესახებ. კაბინეტი შეადგინა რუმინეთში მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა მირონ კრისტეამ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — პატრიარქი კრისტეა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით ამსრულებელი — ტატარესკუ (ლიბერალი), ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — არეტეოიანუ („აგრარული უნიის" პარტიის მეთაური), შინაგან საქმეთა მინისტრი — არმანდ კალინესკუ, მიწათმოქმედებისა და კოოპერაციის მინისტრი — იონესკუ-სისესტი, სამხედრო მინისტრი და საზღვაო და ავიაციის მინისტრის მოვალეობის დრო

გათავხედებული რუმინელი ავანგურისტები

6 თებერვალს უგზოუკვლოდ გაჰქრა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული რუმინეთში ამხ. ბუტენკო, როცა იგი სრულუფლებიანი წარმომადგენლობიდან თავის ბინაში მიდიოდა. უმწვავესი აღშფოთებით უპასუხებს სსრ კავშირის ხალხთა საზოგადოებრივი აზრი ამ ამბავს, მოითხოვს რა პასუხი აგებინონ ამ საზიზღარი დანაშაულის ჩამდენთ. ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ამ ბოროტმოქმედებაში დამნაშავედ სთვლის რუმინეთის ახლანდელ ხელმძღვანელ წრეებს.

იმ პარტიის სამი წლის ისტორია, რომლის წარმომადგენელიც არის გოგა-კუზას კაბინეტი, ყოველგვარ საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის შეხედულება სწორად ჩაითვალოს.

მართლაც, ყველასთვის ცნობილია, რომ გოგა-კუზას პარტიული დაჯგუფება შთაისახა 1935 წელს როზენბერგისა და გებელსის კაბინეტებში და საზეიმოდ კურთხეულ იქნა იმავე 1935 წლის სექტემბერში ნიურენბერგის „ყრილობაზე“ — გერმანიის ფაშისტური პარტიის პარადზე „თვით“ თანადასწრებით. ამ დაჯგუფებას, რომლის ბელადებიც იყვნენ გოგა და კუზა, ამოცანად დაუსახეს დაეწყო გადამწყვეტი ბრძოლა მაშინდელი რუმინეთის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის ერთერთ მთავარ პრინციპს წარმომადგენდა რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულების განვითარება და განმტკიცება. რუმინეთის ხალხის დიდი უმრავლესობის აზრით, მხოლოდდამხოლოდ ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფდა რუმინეთისთვის მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. გოგამ და კუზამ მიიღეს მითითება ებრძოლნათ მთელი ამ საგარეო-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ და პირველ რიგში თავისი შხამიანი მოღვაწეობა მიემართნათ საბჭოთა ქვეყნის, როგორც მშვიდობიანობის ერთადერთი თანმიმდევრობითი დამცველის წინააღმდეგ.

1935 წლის სექტემბრიდან გოგა-კუზას მთელი პრესა, გოგასა და კუზას ყველა გამოსვლა პარლამენტში, საჯარო კრებებზე, პრესაში, რუმინეთში, თუ საზღვარგარეთ ეხება მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას. გოგა-კუზას პარტიის მიერ შექმნილი მისი მებრძოლი რაზმები „ლანჩიერები“ იწვრთნებოდნენ საბჭოთა კავშირისადმი შეურიგებელი სიძულვილის სულისკვეთებით და მათ კრებებზე და მათ ფურცლებში არა ერთხელ გაისმოდა დაუფარავი მოწოდებანი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ფიზიკური განადგურებისაკენ.

ამიტომ მშვიდობიანობის ყველა მეგობარი შეშფოთებით შეხვდა გოგას მთავრობის მოულოდნელ გამოჩენას, იმ მთავრობისა, რომელიც რუმინეთის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის წარმომადგენელია. შეშფოთებას იწვევდა გოგას პარტიის მთელი წარსული, განსაკუთრებით მისი დამოკიდებულება აგრესორ ქვეყნებთან და, უმთავრესად, გერმანიასთან და პოლონეთთან. მაგრამ ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსი ჰფიქრობდა, რომ გოგა-კუზას კაბინეტი არ აჩქარდება გადაუხადოს თავის ბერლინელ დავარშაველ მეგალეებს ის სესხი, რომელიც მან აიღო ოპოზიციაში ყოფნის დროს. ამ პოლიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ რუმინეთის როგორც შინაპოლიტიკური, ისე საგარეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა რუმინეთის არცერთ კაბინეტს არ მისცემს ნებას დაადგეს ავანტურების გზას საგარეო პოლიტიკის სფეროში.

მაგრამ ამბებმა სულ სხვა დაგვანახვა: გოგა-კუზას კაბინეტის შექმნის შემდეგ დაუყოვნებლივ გაძლიერდა ანტისაბჭოთა კამპანია რუმინეთის პრესაში. მთავრობის პარტიის წარმომადგენლებმა თავის კრებებზე გააჩაღეს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა წასისიანება. მთავრობის მიერ ინსპირირებულ გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები, რომლებშიც მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების „რადიკალურ“ გადასინჯვას. რუმინეთი აივსო საეჭვო ახალგაზრდა ადამიანებით, რომელნიც ჩამოდიოდნენ ბერლინიდან და ვარშავიდან, ვითომდა „ახალი“ რუმინეთის გასაცნობად, — ნამდვილად კი კუზისტ-ფაშისტ ძმაბიჭებისათვის ინსტრუქციების მისაცემად მათს ანტისაბჭოთა საქმიანობაში. მარტო ბესარაბიაში დასეირნობს 70-ზე მეტი ასეთი ჰიტლერელ-ბეკელი ძმაბიჭი. გერმანიისა და პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ხელს არავინ უშლის მათს ჩვეულებრივ ანტისაბჭოთა ინტრიგებში.

ანტისაბჭოთა თეთრემიგრანტთა ორგანიზაციების საქმიანობა, სრულიად ჩამკვდარი 1935 წელს, ძალზე გამოცოცხლდა რუმინეთის მთავრობის პირდაპირი წაყრუებით. 24 იანვარს ბერლინიდან ჩამოვიდა საერთაშორისო ავანტურისტი, რომელსაც იცნობენ ევროპის მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიცია და კონტრდაზვერვები, ბილი, რომელიც ამჟამად გესტაპოს კმაყოფაზე იმყოფება. როგორც ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის „ვოლნოე კაზაჩესტვოს“ ახლანდელმა „ჰეტმანმა“ ბილიმ, რუმინეთის ხელისუფალთა ნებართვით, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მოუწოდა ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან თავისი გამოსვლა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „ახლა ჩვენ, როგორც იქნა, აქ შეგვიქმნეს ხელსაყრელი პირობები მუშაობისათვის. ჩვენ ამისთვის მადლობას ვუცხადებთ გოგას ახლანდელ „ნაციონალურ“ მთავრობას და სიტყვას ვაძლევთ მას, რომ ჩვენზე დამყარებულ იმედებს გავამართლებთ“.

როგორც სჩანს, რუმინეთის მთავრობამ დაიიწყა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დროს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება — არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ანტისაბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობა.

ნაციონალ-ცარანისტული პარტიის თავმჯდომარემ მანიუმ თავის გამოსვლაში ა. წ. იანვრის დამლევს საარჩევნო კრებაზე კლუჟში (ტრანსილვანია) გოგას მთავრობა შეაფასა, როგორც ავანტურების მთავრობა, რომლის პოლიტიკა ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანს. მანიუმ კერძოდ და განსაკუთრებით მიაქცია რუმინეთის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება გოგას პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ და ეს პოლიტიკა მან შეაფასა, როგორც საფრთხე მშვიდობიანობისათვის.

მანიუს ეს მოსაზრება, ისე როგორც ყველა ობიექტური მეთვალყურისა, ძალიან მალე გამართლდა. რუმინეთის ხელისუფალთა და პოლიციის უმოქმედობის პირობებში სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულის მოტაცების გაუგონარი ფაქტი განხილულ უნდა იქნას როგორც უშუალო გამოვლინება ავანტურებისა და პროვოკაციების პოლიტიკისა, რომელიც ემუქრება მშვიდობიანობის საქმეს. ჩვენ მიერ დასურათებული მთელი ვითარება, რომელიც რუმინეთში შეიქმნა ხელისუფლების სათავეში გოგას და კუზას ჩადგომის შემდეგ, მოწმობდა, რომ ომის გამჩაღებელთა აგენტურა არ დაკმაყოფილდება პროვოკაციული სიტყვებითა და დემონსტრაციებით.

ᲝᲝ

გუშინ ღამით მოვიდა ცნობა გოგა-კუზას მთავრობის გადადგომის შესახებ (იხ. „პრავდის“ 1 გვერდი). მეფე დასთანხმდა მთავრობის გადადგომას. უახლოესი დღეები გვიჩვენებს როგორია რუმინეთის ხელმძღვანელი წრეების შემდგომი გეგმები და განზრახვები.

ამ წრეებმა უნდა გაითვალისწინონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრებათ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. საბჭოთა საზოგადოებრიობა მოითხოვს პასუხი აგებინონ გათავხედებულ პროვოკატორებს, რომლებმაც გაბედეს ხელის აღმართვა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულის წინააღმდეგ. უნდა ვიფიქროთ, რომ რუმინეთის ხელმძღვანელი წრეები შეიგნებენ შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობას.

„პრავდა“

„გამოძიება“ საეჭვო ხასიათს ღებულობს

ვენა, 10 თებერვალი (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთში საბჭოთა საქმეების რწმუნებულის ამხ. ბუტენკოს დაკარგვიდან უკვე სამი დღე გავიდა, რუმინეთის ხელისუფალთა მიერ წარმოებულ გამოძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ეს გასაკვირიც არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუმინეთის პრესა ყველაფერს სჩადის, რაც იმაზე არის დამოკიდებული, რათა ააბნიოს გამოძიება და დაჰფაროს კვალი. ამ მიზნით იგონებენ სხვადასხვა ყალბ ვერსიებს „ნებაყოფლობითი დაკარგვის“, „თვითმოტაცების“ შესახებ და სხვ. ამავე მიზნით პრესა ათავსებს ყალბ ფოტოსურათებს, რომელნიც გამოსახავენ არა ამხ. ბუტენკოს, არამედ სრულუფლებიან წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლებს. როგორც ეტყობა, ყოველსავე ამ მოქმედებას ხელმძღვანელობს გამოცდილი ხელი, რომელსაც წილი უდევს დანაშაულებრივ მოტაცებაში. რუმინეთის ოფიციალური ხელისუფალნი კი სრულ უმოქმედობას იჩენენ. დიპლომატებისა და ჟურნალისტების წრეებში ეჭვი არ ეპარებათ, რომ დანაშაული ჩაიდინა „რკინის გვარდიამ“, ან ეგრეთწოდებულმა „ლანშიერებმა“, ე. ი. მთავრობის წევრ კუზასთან არსებულმა საბრძოლო ორგანიზაციამ, რომელსაც აგულიანებენ და ხელს უწყობენ გერმანელი ფაშისტები.

გოგას მთავრობა გადადგა

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). თანახმად რეიტერის სააგენტოს რადიო ცნობისა, რუმინეთში გადადგა გოგას მთავრობა. გადადგომა მიღებულია მეფის მიერ. მეფე უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას ყოფილ 6 პრემიერთან და აგრეთვე მანიუსთან, რომელიც არის ნაციონალ-ცარანისტული პარტიის ლიდერი.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მანიუმ განაცხადა, რომ მისი პარტია მზად არის მიიღოს თავის თავზე ახალი მთავრობის შედგენა და ის განსაკუთრებით მიესალმებოდა რუმინეთის მეზობრო თანამშრომლობას ინგლისთან, საფრანგეთთან და ერთა ლიგასთან.

სააგენტოს სიტყვით, გოგას კაბინეტის გადადგომის უმთავრესი მიზეზია საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილი მკაცრი პროტესტი რუმინეთში სსრკ საქმეთა რწმუნებულის ამხანაგ ბუტენკოს დაკარგვასთან დაკავშირებით.

პრიგოლუჟის სამხედრო ოლქის № ხაწილის ტაქტიკურ ვარჯიშობაზე. **სურათზე:** კურსანტი ამხ. ა. ს. ვლასოვი შეტევისას შაშხანიდან ესვრის „მოწინააღმდეგეს“. („სოიუზფოტო“)

კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ტარიფები ნიხრებისა და ტარიფების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა კავშირგაბმულობის მომსახურეობის ახალი ტარიფები.

ახალი ტარიფების შემოღება გამოწვეულია იმით, რომ არსებული ტარიფეები მეტად რთული და მოუხერხებელია, შეიცავს მთელ რიგ სრულიად გაუმართლებელ შეღავათებს სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოებისათვის, და გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი საგრძნობლად დაბალია თვითღირებულებაზე.

ძველი ტარიფებით ამანათების გაგზავნის საფასურად არსებობდა 6.400 სხვადასხვა განაკვეთი, იმისდამიხედვით, თუ რომელ ოლქში და ოლქის რომელ რაიონში იგზავნებოდა ამანათი. დაწესებულებათათვის ამანათების გაგზავნის ფასის მხრით არსებობდა შეღავათები ტარიფის 35-დან 50-მდე პროცენტის რაოდენობით.

არსებობდა დეპეშის ფასის 20-მდე სხვადასხვა ნიხრი. ფულადი გზავნილებისთვის დაწესებულებებსა და წარმოებებს ფასს ახდევინებდნენ მნიშვნელოვანი (50 პროცენტამდე) ფასდაკლებით და იმის მიხედვით, თუ სად იგზავნება ფული და რა თანხა.

ქალაქგარეთ ტელეფონით ლაპარაკის ფასის ტარიფები მეტად გართულდა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ სრულიად უსაფუძვლოდ შემოღებული დანამატებით ცნობების მიცემისათვის, კლიენტის მოწვევისათვის მოსალაპარაკებლად, მომავალი მოლაპარაკების თემის შესახებ გაფრთხილებისათვის და სხვ.

კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფებისა და ნიხრების მთელი ეს სირთულე და მოუხერხებლობა იწვევდა იმას, რომ გამგზავნთ მთელ რიგ შემთხვევებში არ შეეძლოთ შეემოწმებინათ კავშირგაბმულობის ამა თუ იმ მომსახურების მათთვის გადახდევინებული ფასის სისწორე. გარდა ამისა, ტარიფების სტრუქტურის ეს სირთულე ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნიდა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის წინანდელი ხელმძღვანელები არ იჩენდნენ ინიციატივას ამ საქმის მოწესრიგებაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ტარიფები მნიშვნელოვნად გამარტივებულია და სპობს ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, ამანათების გაგზავნის ფასის 6.400 განაკვეთის ნაცვლად დაწესებულია სულ 25 განაკვეთი. შემოღებულია სულ სამი სახის დეპეშა, გარდა ჰიდრომეტსამსახურის მთავარი სამმართველოს დეპეშებისა, — უბრალო, სასწრაფო და ელვა. გაუქმებულია ყოველგვარი დამატებითი გამოსაღები, როგორც მაგალითად: დამატებითი გადასახდელი „მოკითხვამდე“ გაცემისას, გადასახდელი ბანდეროლების შენახვისა და მიტანისათვის და ლუქის ბეჭდის დასმისათვის. ლიკვიდირებულია დანამატები ქალაქგარე ტელეფონით სარგებლობისას.

ახალი ტარიფების აგების სისტემის გამარტივებასთან ერთად, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გაეტარებინა კავშირგაბმულობის მომსახურების მოქმედი ტარიფების ნაწილობრივი გადიდება, განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის. გადიდება არ ვრცელდება საფოსტო კორესპონდენციის მასობრივ სახეებზე, რომლებიც ეხება მოსახლეობის ინტერესებს, როგორც მაგალითად: უბრალო და დაზღვეულ წერილებზე, საფოსტო ფულად გზავნილებზე 50 ათეთამდე, სწვადასხვა ბლანკზე, კონვერტებზე და საფოსტო ქაღალდზე.

მთლიანად შენარჩუნებულია საფოსტო კორესპონდენციისა და ამანათების გადაგზავნაზე არსებული შეღავათები, რომლებიც ეძლევათ წითელარმიელებსა და წითელფლოტელებს.

კავშირგაბმულობის ზოგიერთი მომსახურებისათვის ფასის ნაწილობრივი გადიდება გამოწვეულია იმით, რომ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ტარიფები მთელ რიგ შემთხვევებში თვითღირებულებაზე დაბალი იყო, აგრეთვე დაკავშირებულია ორმაგი ტარიფების ლიკვიდაციასთან და დაწესებულებათა და წარმოებათათვის შეღავათების გაუქმებასთან. მაგალითად, შემოღებულია ერთიანი ტარიფი დეპეშებისათვის, — 25 კაპ. სიტყვაში ნაცვლად არსებული ორმაგი ტარიფისა 15 კაპ. სიტყვაში დაწესებულებათა და საწარმოთათვის და 20 კაპ. მოსახლეობისათვის.

დაწესებულია აგრეთვე ერთიანი ტარიფები ფულადი გზავნილებისათვის ასეთი რაოდენობით: 1 მან. 100 მანეთზე, ნაცვლად 50 კაპ. 100 მანეთზე დაწესებულებათა და საწარმოთათვის და 80 კაპ. 100 მანეთზე მოსახლეობისათვის.

ნაწილობრივ გადიდებულია ტელეფონის სააბონემენტო ქირა დაწესებულებათათვის — საოლქო ცენტრებში 240 მანეთამდე წელიწადში, ხოლო მოსკოვში — 360 მანეთამდე წელიწადში. ტელეფონის სააბონემენტო ქირა სავაჭრო ორგანიზაციებში დაწესებულია საოლქო ცენტრებში 500 მანეთის რაოდენობით, სხვა ქალაქებში — 350 მანეთის რაოდენობით, ხოლო სოფლად — 240 მანეთი. მოსახლეობისათვის ტელეფონის სააბონემენტო ქირა დაწესებულია საოლქო ცენტრებში 180 მანეთის რაოდენობით და სოფლად — 96 მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ტარიფები და ნიხრები შესაძლებლობას აძლევენ გამგზავნთ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, შეამოწმონ მათთვის გადახდევინებული ქირის სისწორე და უადგილებენ მუშაობას კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

ყოველივე ამას, განსაკუთრებით კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მუშაკებისათვის ხელფასის საგრძნობლად გადიდებასთან დაკავშირებით, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა, შედეგად უნდა მოჰყვეს კავშირგაბმულობის ორგანოების მიერ მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ახალი ტარიფები შემოიღოს 1938 წლის 16 თებერვლიდან. (საკდესი).

დაწვრილებითი ცნობები დირიჟაბლ „სსსრ ვ-6“-ის დაღუპვის შესახებ

(„პრავდის“ კორესპონდენტისაგან ქარელიის ასს რესპუბლიკაში)

ქანდალაკშა, 9 თებერვალი (ტელეგრაფით). გადმოგცემთ ნაამბობს ხომალდის მეთაურის მეოთხე თანაშემწის ვ. ი. პოჩეკინისას, რომელიც გადარჩა დირიჟაბლ „სსსრ ვ-6“-ის კატასტროფის დროს.

— სანამ მურმანსკისაკენ გავფრინდებოდით, — გვიამბობს ამხ. პოჩეკინი, — ჩვენ ჩავატარეთ დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ხომალდი მომზადებული იყო ხანგრძლივი საზამთრო ფრენისათვის მოსკოვ—ნოვოსიბირსკის მარშრუტით. ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ პაპანინელთა ყინული გასქდა და საჭიროა დაჩქარებულ იქნას გმირული ოთხეულის ყინულიდან გადმოყვანის ოპერაცია.

„სსსრ ვ-6“-ის ეკიპაჟის წარმომადგენლებმა მთავრობას მიმართეს შუამდგომლობით, ნება დაერთო მოგვეხდინა სავარჯიშო გაფრენა მარშრუტით მოსკოვი — მურმანსკი — მოსკოვი, რათა, თუ კარგ შედეგებს მივაღწევდით, გავფრენილიყავით პაპანინის ყინულისაკენ. ხომალდს ამისათვის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა.

მთავრობამ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და ნება დაგვრთო მოგვეხდინა სავარჯიშო გაფრენა.

5 თებერვალს სადირიჟაბლო აეროდრომიდან მოსკოვის მახლობლად ჩვენ ავფრინდით და ავიღეთ კურსი პეტროზავოდსკისაკენ. პეტროზავოდსკამდე ფრენა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, იყო დაბალი ღრუბლიანობა, ალაგ-ალაგ მოდიოდა თოვლი, ხომალდის ლითონის ნაწილები ყინულით დაიფარა.

ორი საათით ადრე სანამ პეტროზავოდსკს გადავუვლიდით, ხომალდი შევიდა მთლიან ნისლში. თითქმის თვით პეტროზავოდსკამდე ბრმად მივფრინავდით. აქედან ავიღეთ კურსი მურმანსკზე.

ამინდი ისევ არახელსაყრელი იყო. ჩვენი ხომალდის სინოპტიკოსმა დ. ი. გრაფუსმა განაცხადა, (ოთხ ხნის შემდეგ ამინდი გაუმჯობესდებაო. მართლაც, პეტროზავოდსკიდან დაახლოებით სამი საათის ფრენის შემდეგ ღრუბლებმა ზემოთ აიწია, ხილვადობა გადიდდა 20-30 კილომეტრამდე. ასეთი ამინდი ხელს უწყობდა ფრენას. ჰქროდა ზურგის ქარი და ჩვენ მივდიოდით 100 კილომეტრზე მეტი სისწრაფით საათში.

ორი საათის შემდეგ ჩვენ კვლავ მოვხვდით დაბალი ღრუბლიანობის ზოლში, ხილვადობა საგრძნობლად გაუარესდა, დაბნელდა, თოვლი წამოვიდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ზუსტად კურსით მივდიოდით. შტურმანები გ. ნ. მიაჩკოვი და ა. ა. რიტსლანდი გულმოდგინედ და დაუღალავად ადევნებდნენ თვალყურს კურსის სისწორეს. ზოგჯერ ჩვენ მივფრინავდით რკინიგზის ხაზის მიმართულებით.

თავდაპირველად მივდიოდით 300-350 მეტრის სიმაღლეზე. მე მეჩვენა, რომ ძალიან დაბლა მივფრინავთ და ამის შესახებ ვაცნობე მეთაურს ნ. ს. გუდოვანცევს. მან მეორე მეთაურს ი. ვ. პანკოვს უბრძანა სიმაღლეს მოუმატეო. ავიწიეთ 450 მეტრამდე და განვაგრძობდით ფრენას.

უეცრად გავიგონე შტურმან მიაჩკოვის ყვირილი: „მთას ვეჯახებით“. ი. ვ. პანკოვმა ერთბაშად ასწია დირიჟაბლის ცხვირი, რათა მაღლა წავსულიყავით და მიბრძანა მარჯვნით მომებრუნებია საშეერამდენმე წამის შემდეგ მე გავიგონე ხმაური: ხომალდი ხეებს ეხებოდა, შემდეგ გაისმა მკვეთრი ტკაცანი, და ხომალდი, დაეჯახა რა მთას, ზედ დაეცა.

მე მოვხვდი გონდოლის ლითონის ნაწილებისა და ხომალდის ხერხემლის ნამსხვრევებს შორის, ხოლო ზევიდან მეფარა გარსი. მაშინვე დაიწყო ხანძარი, რომელიც შესაძლებელია გაჩნდა ელექტრონადიომოწყობილობის მავთულების შერთვით. მე შევეცადე ხომალდიდან გამოძვრომას.

უეცრად, სრულიად შემთხვევით, ჩავვარდი რაღაც ორმოში და სწორედ ამან მიხსნა სიკვდილისაგან. აქვე იყვნენ ნოვიკოვი, უსტინოვიჩი, მატიუნინი, ვორობიოვი.

ჩემი ამხანაგები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ სიტყვის თქმაც კი არ შეეძლოთ. გონს მოვედით რა, ჩვენ რამდენიმე ადგილას დავანთეთ ცეცხლი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი შენიშვნა. 7 თებერვალს ალიონზე კატასტროფის ადგილზე, რომელიც პროლიუსკის სატყეო პუნქტის მე-91 უბანში იყო, მოვიდა მეთხილამურეთა ჯგუფი მეტყევე ნიკიტინის მეთაურობით. მათ პირველი დახმარება აღმოგვიჩინეს. ერთ-ერთი მეთხილამურე დაბრუნდა ბარაკში და აცნობა ჩვენი ადგილსამყოფელი. გამოგვიგზავნეს ირმები და წავედით ტყისმჭრელთა უახლოეს ბარაკში. აქ ჩვენ გავთბით და მადლობა გადავუხადეთ ტყისმჭრელებს დახმარებისათვის. აქედან გავგზავნეს პროლივის სადგურზე, ხოლო შემდეგ სპეციალური ეაგონით ჩამოგვიყვანეს კანდალაკშაში.

ბ. ზოლოტოვი
(„პრავდა“)

ᲒᲝᲒᲐᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 თებერვალი (საკდესი). თანახმად რეიტერის სააგენტოს რადიო ცნობისა, რუმინეთში გადადგა გოგას მთავრობა. გადადგომა მიღებულია მეფის მიერ. მეფე უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას ყოფილ 6 პრემიერთან და აგრეთვე მანიუსთან, რომელიც არის ნაციონალ-ცარანისტული პარტიის ლიდერი.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მანიუმ განაცხადა, რომ მისი პარტია მზად არის მიიღოს თავის თავზე ახალი მთავრობის შედგენა და ის განსაკუთრებით მიესალმებოდა რუმინეთის მეზობრო თანამშრომლობას ინგლისთან, საფრანგეთთან და ერთა ლიგასთან.

სააგენტოს სიტყვით, გოგას კაბინეტის გადადგომის უმთავრესი მიზეზია საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილი მკაცრი პროტესტი რუმინეთში სსრკ საქმეთა რწმუნებულის ამხანაგ ბუტენკოს დაკარგვასთან დაკავშირებით.

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ 1938 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 თებერვალი (საკდესი). სსრკ-ის მიწსახკომმა დაამტკიცა კომბაინთა რემონტის გეგმა 1938 წლისათვის. კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 15 ათას კომბაინს, აქედან პირველ კვარტალში — 3.780 კომბაინს. საშუალო რემონტს გაუკეთებენ 48 ათას კომბაინს, აქედან პირველ კვარტალში — 7.340. კრასნოდარისა და ორჯონიკიძის მხარეებმა, როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის ოლქებმა, უკრაინამ, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქმენეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკებმა, დაღისტნის, ყაბარდო - ბალკარეთის, ყირიმის, ჩრდილო - ოსეთის, ჩაჩნეთ - ინგუშეთის ასს რესპუბლიკებმა და პოვოლჟიეს გერმანელთა ასს რესპუბლიკამ, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ალმა-ატისა და სამხრეთ-ყაზახეთის ოლქებმა უნდა დაამთავრონ რემონტი 20 მაისისათვის. დანარჩენმა რესპუბლიკებმა, მხარეებმა და ოლქებმა—1 ივნისისათვის.

მიწსახკომმა დაავალა ადგილობრივ სამეწარმოთმოქმედო ორგანოებს მიამაგრონ კომბაინები კომბაინერებს არა უგვიანეს 1 მარტისა და დაამყაროონ ისეთი წესი, რომ კომბაინერები აუცილებლად ღებულობდნენ მონაწილეობას მათზე მიმაგრებულ მანქანების რემონტში. რემონტის ხარისხისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად წესდება ძირითადი დეტალების სავალდებულო ნიშანდება. უვარგისი რემონტისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი. კომბაინებს უნდა ჰქონდეთ გაკეთებული მარცვალსაჭერები, ბრეზენტის სახელოები გადმოსატვირთავი ხრახნებისათვის და საზეთეები ჯაჭვების განუწყვეტლივ შესაზეთად.

ერთი კომბაინის კაპიტალური რემონტის სალიმიტო ღირებულება დამტკიცებულია 1.600 მანეთის რაოდენობით.

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ — ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲞᲐᲠᲯᲕᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲒᲐᲛᲒᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥ. Კ. ᲞᲐ. (Ბ) Გ. Კ-ᲘᲡ ᲡᲐᲡ.-ᲡᲐᲛ. ᲒᲐᲜᲣ. ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ორდენოსანმა საქართველომ, ისე როგორც დიადი საბჭოთის ყველა სხვა რესპუბლიკებმაც, წელს უნდა მოგვცეს გაცილებით უფრო მაღალი მოსავალი, ვიდრე გასულ წლებში.

ამხანაგი ლ. ბერია, გამოდიოდა რა დიდი სტალინის მითითებებიდან, საქ. კ. პ. (ბ) მეათე ყრილობაზე ამბობდა: „ამხანაგმა სტალინმა 1935 წლის დეკემბერში ჩვენი ქვეყნის წინაშე ამოცანად დასახა—უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ 7-8 მილიარდი ფუთი პურის წარმოებას საბჭოთა კავშირში. ეს კიდევ უფრო მეტად გვავალებს ჩვენ—საქართველოს ბოლშევიკებს ავიყვანოთ 1940 წლისათვის მარცვლეულის სათესი ფართობები 900 ათას ჰექტარამდე, გავადიდოთ მოსავლიანობა ჰექტარზე 15 ცენტნერამდე და მთელი მარცვლეულის მოსავალი—80 მილიონ ფუთამდე და საკუთარი პურით ძირითადად დავაკმაყოფილოთ საქართველოს მოთხოვნილებანი“. ამ დავალებათა შესრულება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამეწარმოთმოქმედო ორგანოების, საქართველოს ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის საბრძოლო ამოცანას, სახელისა და დიდების საქმეს წარმოადგენს.

მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე დღეებიღა დარჩა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში კვლავ გრძელდება სამარცხვინო ჩამორჩენა თესვისათვის მზადებაში.

5 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის გეგმა შესრულებული იყო 86,2 პროცენტით. ტრაქტორების მისაბმელი გუთნების რემონტი კი—71,7 პროცენტით, სათესებისა — 63,8-ით, საკოლმეურნეო გუთნებისა—96,4-ით, კულტივატორებისა—68,1-ით. მთელი რიგი მტს-ები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთების საქმეში. 5 თებერვლისათვის ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებული ჰქონდათ: წნორის მტს-ს (დირექტორი—ფეიქრიშვილი) 50,5 პროცენტით, ლაგოდეხისას (დირექტორი—გუდკოვი)—51,8-ით, გურჯაანისას (დირექტორი—ბარბაქაძე)—65-ით, ბაშკიჩეთისას 64,7-ით. აგრეთვე ჩამორჩნენ რემონტის საქმეში: წითელ-წყაროს მტს (დირექტორი—ჩიქვინიძე), კასპისა (დირექტორი—ვარძელაშვილი), სტალინირისა (დირექტორი—კიბილოვი) და ბოგდანოვკისა (დირექტორი—მხითარიანი).

აღნიშნული ჩამორჩენა არ შეიძლება აიხსნას სხვა რამით, თუ არა მტს-ების დირექტორებისა და რაიმიწგანების გამგეების ცუდი მუშაობით, სათანადო რაიკომების სუსტი ხელმძღვანელობით. ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შრომის არასწორი ორგანიზაცია სატრაქტორო ბრიგადებში, ტრაქტორისტების კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონე, პარტმასობრივი მუშაობის სუსტად გაშლა და შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, სტახანოვური მოძრაობა) უგულებელყოფა. განსაკუთრებით ეს ითქმის ლაგოდეხის, გორის, ახალსოფლის, თბილისის და გურჯაანის მტს-ებზე.

მოსავლიანობის გადიდებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათესლე მასალას. მოსავლიანობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული ჯიშიან და ხარისხოვან თესლზე. ბევრგან კი თესლის გაწმენდა უყურადღებოდ არის მიტოვებული.

საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესლი უნდა გაიწმინდოს რესპუბლიკაში 205.399 ცენტნერის რაოდენობით, მიწსახკომის 5 თებერვლის ცნობებით გაწმ

ბოლშევიკურად შევასრულოთ სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი

დროულად გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები

ჯიროვის რაიონის პარტორგანიზაციებში კომუნისტები უდიდესი ალფრთოვანებით იხილავენ სკკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას.

ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის დახურულ კრებებზე სწარმოებს პლენუმის დადგენილების წაკითხვა და განხილვა. როგორც გამოირკვა, „საქტრიკოტაჟის" პარტკომის ყოფილმა მდივანმა გოგიამ პარტიის რიგებიდან გარიცხა პარტიის წევრი მარიამ ოსიპოვი, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ძმა დაპატიმრებულია.

ამავე პარტორგანიზაციამ ამხ. სათენკ ოქსუზიანი პარტიიდან გარიცხა იმისათვის, რომ მისი შვილი, რომელიც რადიოცენტრში მუშაობდა, გარიცხულ იქნა კომკავშირის რიგებიდან—ანტიპარტიული ლაყბობისათვის. რადიოცენტრის პარტიული კომიტეტის მდივანმა „სიფხიზლე გამოიჩინა" და „საქტრიკოტაჟის" პარტიულ კომიტეტს მოახსენა, — ს. ოქსუზიანის შვილი კომკავშირის რიგებიდან გავრიცხეთ და ახლა საჭიროა პარტიის რიგებიდან მისი დედაც გარიცხოსო.

პარტიის წევრი ამხ. ელ. მდივანიანი მუშაობდა ამავე ქარხანაში დაზგაზე, მან რამდენჯერმე მიმართა პარტიულ კომიტეტს განცხადებით, რომ გადაეყვანათ სხვა სამუშაოზე ან გაენთავისუფლებინათ სამუშაოდან, ვინაიდან ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა და ვერ იტანა დაზგაზე მუშაობა. პარტიულმა კომიტეტმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამხ. მდივანიანს—არც სხვა სამუშაოზე გადაიყვანა და არც სამსახურიდან გაანთავისუფლა. ამხ. მდივანიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამუშაო. ამისათვის პარტიულმა კომიტეტმა ამხ. მდივანიანი პარტიის რიგებიდან გარიცხა.

საქ. კ. პ. (ბ) ჯიროვის რაიკომმა გულმოდგინედ შეისწავლა „საქტრიკოტაჟის" პარტიული ორგანიზაციის მიერ გარიცხულთა მასალები და ზემოთ დასახელებული უსაფუძვლოდ გარიცხული ამხანაგები პარტიის რიგებში აღადგინა.

გ. სურგულაძე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი.

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პარტიული ორგანიზაციის წევრები სწავლობენ საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას. ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შეცდომებს ასწორებენ

(ცხარელი, საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ იხილავენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე".

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულის მსგავს ფაქტებს, რომლებიც ჩადენილია ხალხის საზიზღარი მტრების მიერ, ადგილი ჰქონდა ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციებშიაც. მაგალითად, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე გამოირკვა, რომ რაიკომის ყოფილმა ხელმძღვანელებმა, ხალხის მტრებმა სრულიად უმიზეზოდ გარიცხეს პარტიიდან მიშა ერთგულაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე). რაში იყო საქმე? ერთგულაშვილმა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის წინა პერიოდში დაჰკარგა პარტიული ბილეთი, მას მისცეს დროებითი მოწმობა, ხოლო დოკუმენტების შეცვლის დროს ბილეთი აღარ მისცეს და გარიცხულად გამოაცხადეს. ერთგულაშვილის გარიცხვის საკითხი არც პარტორგანიზაციას განუხილავს და არც რაიკომს. ბევრჯერ მიმართა რაიკომს ერთგულაშვილმა, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს.

ამავე პარტორგანიზაციის წევრი გიორგი კორაშვილი, რომელსაც კოლმეურნეობაში გამომუშავებული აქვს 600 შრომადღე, პარტიიდან გარიცხეს საკითხის სრულიად შეუსწავლელად. რაიკომის ბიუროზე არც კი განუხილავთ მისი გარიცხვის საკითხი.

ასევე მოუფიქრებლად გარიცხეს თავლორაშვილი, ერგეშიძე და გზირიშვილი, იმ საბაბით, რომ ისინი „პასიურები" იყვნენ და პოლიტმეცადინეობას აცდენდნენ.

ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე შეუდგნენ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

შ. გაფრინდაშვილი.

პლენუმის დადგენილება ყველამ უნდა იცოდეს

(ცაგერი, საქ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების ღრმად შესწავლას ენერგიულად მოჰკიდა ხელი პარტიის ცაგერის რაიკომმა. მოეწყო რაიონის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და მოწინავე აგიტატორთა ათდღიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობდნენ აგრეთვე პროპაგანდისტები და პარტიული აქტივი. მსმენელებმა შეისწავლეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები.

ამჟამად რაიონის 18 სასოფლო საბჭოში აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელებისა და რაიკომის ინსტრუქტორების მიერ ტარდება აგიტატორთა სამდღიანი კურს-სემინარები. ამ კურს-სემინარებზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებასაც სწავლობენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა ფართოდ და ღრმად შესწავლას მთელ რიგ ადგილებში ძალზე აფერხებს საჭირო მასალების უქონლობა. მაგალითად, ქულბაქის, წიფერჩის, ორბელის, ლაძგვერიის, ზუბის და ოყურეშის სოფლის საბჭოებში საკმაო რაოდენობით არ იშოვნება გაზეთები. ამ ადგილებში გაზეთების ის ნომრები, რომლებშიც დადგენილებაა მოთავსებული, არათუ ყველა მშრომელს, არამედ მრავალ კომუნისტსა და კომკავშირელსაც არ გააჩნია. სახელგამის ადგილობრივ განყოფილებამდე ჯერ არ მოულწევია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რომელიც საქპარტგამომცემლობამ ცალკე ბროშურად დაბეჭდა.

გ. ყურაშვილი.

ყაღბი სიფხიზლის მსხვერპლნი

სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება გადაჭრით გვეუბნება, რომ გულგრილობა, ბიუროკრატიზმი, ადამიანის ბედიღბლისადმი ფორმალურად მიდგომა ანტიპარტიული მოქმედებაა, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

მხოლოდ ადამიანების ბედიღბლისადმი ფორმალური, უსულგულო მიდგომით შეიძლება აიხსნას ისეთი ხელაღებით გარიცხვა კომკავშირის რიგებიდან, როგორსაც უშვებდნენ საქ. ალკკ საგარეჯოს რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები. ნინოწმინდის არასრული საშუალო სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ (კომიტეტის მდივანი ბერიკაშვილი) საქ. ალკკ საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივნის ფილატურის მითითებით კომკავშირიდან გარიცხა აქტიური კომკავშირელი გიორგი ნასყიდაშვილი. როდესაც პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კრებაზე გ. ნასყიდაშვილის კომკავშირიდან გარიცხვის საკითხს იხილავდნენ, კრების დამსწრენი შეეკითხნენ კომიტეტის მდივანს ამხ. ბერიკაშვილს, რა ბრალდება აქვს წაყენებული გ. ნასყიდაშვილს, რატომ ვრიცხავთ მას კომკავშირიდანო. მდივანმა მზრები აიჩეჩა და განაცხადა: არ ვიცი, რა ბრალდება აქვს ნასყიდაშვილს, ჩემთვის ეს არ უთქვამთ რაიკომშიო.

— მაშ რაშია საქმე? რათ უნდა გავრიცხოთ უდანაშაულო კაცი?—კითხულობდნენ კომკავშირელები.

— კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა დამავალა გარიცხეო და უნდა გავრიცხოთ, ვალდებული ვართ შევასრულოთ რაიკომის მითითება, — განაცხადა ბერიკაშვილმა. კრებაზე მიიღეს დადგენილება ნასყიდაშვილის, როგორც უცხო ელემენტის, კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ. ეს დადგენილება რაიკომის ბიუროს უცვლელად დაამტკიცა.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის კომკავშირელი მემანქანე ქალი ნინო ბოჭორიძე შტატების შემცირების გამო რაიკომის ახალმა ხელმძღვანელობამ გაანთავისუფლა სამუშაოდან. კომკავშირის საგარეჯოს რაიკომმა და რაიონული გაზეთის რედაქცია - სტამბის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, გამოიჩინეს რა „რევოლუციური სიფხიზლე", ნინო ბოჭორიძის სამსახურიდან განთავისუფლებას სხვა საფუძველი დაუდეს. რადგან ნინო ბოჭორიძე რაიკომში ძველი ხელმძღვანელობის დროს მუშაობდა, ფიქრობდნენ ისინი, ალბათ მას კავშირი ექნებოდა ხალხის ამჟამად გამომჟღავნებულ მტერთან, პარტიის რაიკომის ყოფილ მდივანთანო. არ მოისურვეს ამ ყალბი მოსაზრების შემოწმება და ნინო ბოჭორიძე ხალხის მტრებთან კავშირის იარლიყით გარიცხეს კომკავშირიდან.

კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის ბიურომ კომკავშირიდან გარიცხა რაიონულ რედაქციაში მომუშავე აქტივისტი კომკავშირელი ქალი ნინო გურგენიძე.

ჩინოვნიკებმა კომკავშირის საგარეჯოს რაიკომიდან გურგენიძე გარიცხეს კომკავშირიდან იმისათვის, რომ მას სამუშაოზე აღდგენაში დახმარება გაუწია პარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილმა მდივანმა, რომელიც ხალხის მტერი აღმოჩნდა. ეს ფაქტი საკმარისი გახდა კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის ხელმძღვანელთათვის, რომ ნინო გურგენიძისათვის მიეკერებინათ ხალხის მტრებთან მჭიდრო კავშირის იარლიყი და გაერიცხათ იგი ლენინური კომკავშირის რიგებიდან. საგარეჯოს რაიონში მრავალია ისეთი კომკავშირელი, რომელსაც მითითება, გაფრთხილება ან საყვედური უმართებულოდ აქვთ გამოცხადებული ალკკ რაიკომის ბიუროს ან პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მიერ. თავდაზღვევის მიზნით კომკავშირის საგარეჯოს რაიკომი და ბევრი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები განუკითხავად სჯიდნენ ყველას, ოღონდ გაეგოთ, რომ ამა და ამ კომკავშირელმა, ამჟამად გამომჟღავნებულ მავნებლებთან, ხალხის მტრებთან (როდესაც ისინი რაიონში ხელმძღვანელ პოსტებზე იყვნენ) სასადილოში ან ვინმეს ოჯახში ერთ მაგიდაზე ისადილა, ან ავტოში მათთან ერთად იჯდაო და სხვ.

ზემოთმოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ ალკკ საგარეჯოს რაიკომი უსულგულოდ ეკიდება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ისინი ზოგჯერ, ნამდვილი მტრების გამოაშკარავების ნაცვლად, ხელიდებით ერეკებიან კომკავშირიდან ახალგაზრდებს, ხოლო რაიონული ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელები, თავდაზღვევის მიზნით, ძალიან ხშირად სრულიად შეუმოწმებლად სამუშაოდან ხსნიან კომკავშირიდან გარიცხულებს.

ნუთუ ასე ესმით ალკკ საგარეჯოს რაიკომის ხელმძღვანელ ამხანაგებს ბრძოლა ლენინური კომკავშირის რიგების სიწმინდისათვის?

პარტია არავის მისცემს ნებას აქეთ-იქით ისროლონ ადამიანები. სტალინური ცენტრალური კომიტეტი ჩვენ გვიჩვენებს ადამიანებისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების ნიმუშს, ადამიანების მზრუნველობითა და ყურადღებით გამოზრდის მაგალითს. კომკავშირმა ღრმად უნდა შეითვისოს და შეისისხლხორცოს სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითება, მტკიცედ გაშალოს მუშაობა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

ალ. გვინჩიძე.

ნაამბობი სამოქალაქო ომიდან

ვიქტორ გაბესკირიანი

დაღუპულთა შესახებ

1. ველზე.

ხმა არ ისმოდა. ფიქრებს მოეცვა
და მდუმარებას ირგვლივ ყოველი,
მაგრამ ცხენოსნებს გზაზე უეცრად
შემოგვხვდა ათი ბუდიონელი.

იწვნენ უძრავად. ვგრძნობდით, რომ არცერთს
არ შევხვედრივართ არასდროს წინათ;
მტრისგან განგმირულ მებრძოლთ, ვაჟკაცებს
მდუმარე ველზე ერთად ეძინათ.

თითქოს გვიამბეს, გვითხრეს უთქმელად:
„ველზე გვატარეს და გვაწამესო".
ხელი დაედვა ზოგს საფეთქელთან,
ზოგს ბალახით და ქვიშით აევსო.

დიდხანს ვიდექით. მათზე ვფიქრობდით,
ვინც ვაჟკაცები აქ ჩააწვინა:
მკრთალ დღის ნათელი ირგვლივ ქრებოდა
და ველზე მშვიდი დაიწყო წვიმა.

იქვე ჩასაფრდა ჩვენი ლაშქარი,
მტრის მოლოდინში ღამეს ათევდა...
მტერიც გამოჩნდა და, ვით ცისკარი,
თოფის ლულები ველს ანათებდა.

2. მეტყვიამფრქვევე

მთასთან, სანგრებში ვიწექით ქვევით.
ცეცხლი ბოლს ხვევდა და იტაცებდა;
ჩვენ ყველას ერთი მეტყვიამფრქვევის
ბრძოლა გვხიბლავდა და გვაოცებდა.

როს მისმა ცეცხლმა ველი გადასწვა
და მტერს ეკვეთნენ გრიგალზე უმალ,
ის მიმოფანტულ ვაზნებში ჩაწვა
და ტყვიამფრქვევმაც ხმა დაიდუმა.

მიველით მასთან. თითქოს მიჰკვროდა
გაცივებულს და მდუმარე ფოლადს,
თავიდან ქუდი გადავარდნოდა
და სისხლი აჩნდა თითბერის ფოლადს.

როს მოინდომეს გმირის გაცნობა,
ქუდში უპოვნეს გამოკერილი,—
ჩაქუჩით, ნამგლით ერთი მოწმობა
და ერთი კიდევ სატრფოს წერილი.

ასე ეწერა: „შენი ნახვა მსურს,
ნუ დაგვიგიწყებ, გვნახე მალეო.
ლამით ფეხის ხმას დიდხანს ვუგდებ ყურს,
დღისით კი ცქერით მოვიღალეო".

რაიკოოპკავშირი ცუდად მუშაობს

წალენჯიხის რაიკოოპკავშირი ვერ უზრუნველჰყოფს მასების გაზრდილ მოთხოვნილებას. სავაჭროებში ხშირად არ მოიპოვება პირველი მოხმარების საგნებიც კი.

თვით წალენჯიხის კოოპერატივში (გამყიდველი ვ. გაბუნია) თითქმის 2 თვეზე მეტია არ გაყიდულა ნავთი, ძაფი, საპონი, წინდები, ჩულქები და სხვ. რაიონის კოოპერატივებში არ გაყიდულა აგრეთვე კარტოფილის ფქვილი, ბრინჯი, ძეხვის ნაწარმი, ბურღული, ყავა და სხვ.

ჯგალის სოფლის კოოპერატივში (გამყიდველი ლ. ყვაბავა) არ მოიპოვება სავაჭრებულო ასორტიმენტის საქონელი. გარდა ამისა, მაღაზია იმყოფება უვარგის ბინაში, სადაც უსუფთაობაა გამეფებული.

რაიკოოპკავშირი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სვანეთის მთის ძირას მდებარე სოფლებს. მაგალითად, ჩქვაურში ნახევარი წელია, რაც არ მიუტანიათ ნავთი, საპონი, მარილი და პირველი მოხმარების სხვა საქონელი, რაზედაც მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა რაიონის სხვა ადგილებშიც. რაიონის ცენტრში ხშირად შემოაქვთ სამრეწველო საქონელი, მაგრამ მას საწყობში ძმა-ბიჭები ინაწილებენ. მაგალითად, ამ ერთი თვის წინათ მოიტანეს შალის ქსოვილი, ტუფლები და კალოშები, მაგრამ კოლმეურნეებს ეს საქონელი თვალით არ უნახავთ. რაიკავშირის თავმჯდომარის გუგუნავას კაბინეტში საქონელს უკანონოდ, ფარულად ანაწილებენ.

გუგუნავამ რაიკავშირში მოაწყო უცხო ადამიანები. მან ბუხჰალტრად მოიყვანა კვირკველია, რომელიც სხვადასხვა ადგილიდან მოხსნილია ოთხჯერ, როგორც ბუხჰალტრის თანამდებობისათვის შეუფერებელი; მოიყვანა აგრეთვე გ. შენგელია, რომელიც სხვადასხვა თანამდებობიდან რამდენჯერმეა მოხსნილი კომბინაციებისათვის.

რაიმაღაზიაში ხშირად ღამით ფარულად ჰყიდიან საქონელს.

ცეკავშირმა ბოლო უნდა მოუღოს უმსგავსობას წალენჯიხის კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

ვ. ზარძუა
შ. ზარძუა
არ. კალანდია

პროფ. მოსე გოგიბერიძე

შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი

შვიდასი წელი იფიქრა ქართველმა ხალხმა **რუსთაველის** გენიაზე. მომხიბლავი შემოქმედება დიდი პოეტისა, მისი ჰუმანიზმი, სიბრძნე და აზროვნება, ბოლოვითი ნათელი და ტარიელის აბჯარივით მტკიცე ლექსი რუსთაველის სადიდებლად აერთიანებდა ყველა მის მიმდევნო თაობას და ეპოქას. მაგრამ ვერცერთმა წინამორბედმა ეპოქამ ვერ შესძლო ქვეყნის გასაგონად ეთქვა ის, თუ რას ხედავდა რუსთაველში, თუ რატომ იყო მთელი ქართველი ხალხი გაერთიანებული ამ სახელის ირგვლივ.

მხოლოდ **სტალინის** გენიით გასხივოსნებულმა ჩვენმა დრომ, შესძლო რუსთაველის სახელის ირგვლივ გაეერთიანებინა მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, აღედგინა რუსთაველის ისტორიული უფლება, მთელი ქვეყნისათვის ეჩვენებინა საკაცობრიო იდეალებით განათებული გენია პოეტისა. **სტალინური** ეპოქის სამართლიანმა და ძლიერმა ხელმა რუსთაველი მოათავსა გენიალურ ადამიანთა იმ რიგში, სადაც მისი მოთავსება ისტორიული სიმართლის აღდგენა იყო.

სტალინურმა ეპოქამ აჩვენა მთელს თანამედროვე მოწინავე კაცობრიობას, რომ რუსთაველი იყო ის გენია, რომლის მზე პირველად ამოვიდა საშუალო საუკუნეების ბნელეთზე. ასეული წლებით ადრე ევროპელ ჰუმანისტებამდე რუსთაველმა ადამიანი განათავისუფლა ღმერთის მონობისაგან, შეიყვანა იგი ბუნებაში და აჩვენა სიამე ამქვეყნიური ბედნიერებისა; არცერთი გაჭირვებისას რუსთაველმა თავისი გმირები არ შეავედრა ქრისტიანულ სამპიროვან ღმერთს. ბრძოლით მოაპოვებინა მათ თავიანთი ბედი და ამქვეყნიური ბედნიერება. ნუ დავივიწყებთ, რომ რუსთაველი ცხოვრობდა იმ ეპოქაში, როცა დასავლეთსა და აღმოსავლეთში ადამიანის სული იმყოფებოდა კლერიკალიზმის საპყრობილეში, როდესაც ყოველივე ამქვეყნიური და „ხორციელი" სათნოება უმკაცრესი ზომებით ითრგუნებოდა და იდევნებოდა. (საკმარისია პეტრე აბელიარის ტრაგედიის მოგონება!). როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, არანაკლები ბნელეთის მოციქული იყო რუსთაველის ეპოქის ქართველი ეკლესია. ამიტომ გენია რუსთაველისა იმაშია, რომ მან საშუალო საუკუნეების პირობებში და ქრისტიანული კულტურის ფონზე პირველმა გაარღვია ეს რკალი, მან პირველად იქადაგა ადამიანის ამქვეყნიური უფლება. იგია **პირველი ჰუმანისტი** და ახალი დროის დამწყები.

მკითხველს ებადება კითხვა, თუ რა წყაროებიდან საზრდოობდა ახალი მსოფლგაგება, გაბედული ჰუმანიზმი რუსთაველისა.

უმართებულოდ უკავშირებენ რუსთაველის სახელს მისი დროისა და მისი წინამორბედი ეპოქის იდეალისტურ - თეოლოგიურ - გნოსტიკურ ფილოსოფიათა კონცეპციებს, მაგალითად, წარმართულსა და ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს, მანიქეიზმს, ბიზანტიურ ლოგიკურ სქოლასტიკას (მიქელ ფსელოსი და მისი სკოლა), სუფიზმს და სხვ. რუსთაველი, როგორც უაღრესად განათლებული პიროვნება თავისი ეპოქისა, ყველა ამას, რასაკვირველია, იცნობდა. ჩინებულად იცნობდა იგი საშუალო საუკუნეთა ორსავე კერპს—არისტოტელესა და პლატონს (საკითხია მხოლოდ, არაბული თუ ქრისტიანული გონების ოვალით!) მაგრამ იგი არ ყოფილა არცერთი ამ სკოლის მიმდევარი.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ათასჯერ სწორი იყო პროფ. ი. კ. **ლუპოლის** განცხადება მწერალთა პლენუმზე, რომ დროა თავი დავანებოთ რუსთაველის მსოფლმხედველობის ძებნას ძველს გადმოცემაში, იგი უნდა მოინახოს თვითონ რუსთაველში. რუსთაველი თვითონ არის ორიგინალი და დამწყები. რუსთაველის მიერ აღმოჩენილი ადამიანური ბედნიერება და განახლება, ჩვენი აზრით, შედეგი იყო მე-12 საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში მომხდარი სოციალ-პოლიტიკური ძერებისა, იგი ქართული სინამდვილით იყო გამოწვეული და არა არისტოტელურ-პლატონური სქოლასტიკის ნიადაგზე წარმოებული პაექრობის გამო, რომელიც რუსთაველის დროს უკვე საკმაოდ გაჭაღარავებული იყო.

შესაძლებელია ადვილად დავამტკიცოთ, რომ ნეოპლატონიზმი არ ყოფილა არც წარმართული და არც ქრისტიანული და არც შეიძლება ყოფილიყო რუსთაველის მსოფლმხედველობის დასაყრდენი. ასეთი რამის მტკიცება შეიძლება მხოლოდ ფაქტების უცოდინარობაზე იქნას აშენებული. იგივე ითქმის მანიქეიზმზე, ბიზანტიიდან მომდინარე ლოგიკურ სქოლასტიკაზე და სხვ.

ნეოპლატონიზმი იყო მონათმფლობელური რომის მსოფლიო იმპერიის ყველაზე თვალსაჩინო ფილოსოფიური მოძრაობა მისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში. მისი ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქრისტიანობის ისტორიასთან. ერთხელ ქრისტიანობის საწინააღმდეგო იდეად დაბადებული, იგი შემდეგში გამოიყენა ქრისტიანულმა რეაქციამ თეოსოფიისა და ასკეტიზმის, სქოლასტიკისა და მისტიკის საბოლოო გამარჯვების საქმისათვის. მარტო ნაზარეთიდან მოსული ქრისტე კი არ სტუმრებია მოხუცებულ რომს იმპერატორების ბატონობის ეპოქაში, არამედ ბევრი კიდევ სხვა „ქრისტე" და სხვა „მესია", ეგვიპტური, ქალდეური, ირანული და ინდური წარმომშობისა. თვითონ ქრისტიანობა იყო ერთგვარი ნარევი ებრაელური მაიზაიზმისა და ბერძნული იდეალისტური მორალიზმისა. რასაკვირველია, პირვანდელ ქრისტიანობაშიც აღმოსავლური ელემენტი სჭარბობდა.

სწორედ ამ დროს ნეოპლატონიზმი დაიბადა როგორც მსოფლმხედველობა, რომელსაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ბერძნული იდეალისტური ფილოსოფიის, სახელდობრ, პლატონის ნიადაგზე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო იდეალისტურ - თეოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც არანაკლებად დაეკმაყოფილებდა ეპოქის მოთხოვნილებას უცნაურსა, მისტიკურსა და ასკეტურზე. ნეოპლატონიზმს ბერძნულ-რომაული ტრადიციების ნიადაგზე უნდოდა ეჩვენებინა ფილოსოფიის გადაქცევა თეოსოფიად, მეცნიერების შეცვლა რელიგიად. ქრისტიანობას თან მოჰქონდა სულის პერსონალური უკვდავების იდეა. წამომწყები ნეოპლატონიზმისა **ამონიუს საკა** (175-242) ქადაგობს, რომ პლატონით საუცხოოდ დასაბუთდება სულის იმმატერიალურობა ე. ი. უკვდავება. იგი ქრისტიანად დაიბადა, მაგრამ, „რა ნახა ბემო ფილოსოფიისა და გონებისა", თავის ბერძნულ წარმართობასვე დაუბრუნდა და შეიქმნა მქადაგებელი პლატონური თეოსოფიისა. მას წერილობითი არაფერი დაუტოვებია, მაგრამ ნამდვილად უკვე მან დაამყარა სკოლის ტრადიცია.

ამონიუს საკას მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის ყველაზე გამოჩენილი იყო **პლოტინი** (204-268), ერთერთი უდიდესი თეოსოფი და იდეალისტი ყველა დროისა, ნეოპლატონიზმის მთავარი თეორეტიკოსი. პლოტინი წარმომშობი იყო ეგვიპტელი ბერძენი, თუმცა იგი არ ასახელებდა არც თავის სამშობლოს და არც თავის დედმამას; ყოველივე ამასაო,—სწერს მისი მოწაფე პორფირიოს,—იგი მიწიერად და ბილწად სთვლიდა და, როგორც სჩანს, პლოტინს რცხვენოდა, რომ მისი სული სხეულში იმყოფებოდაო. თერმეტ წელიწადს იყო იგი ამონიუს საკას მოწაფე. შეიარაღებული პლატონის ფილოსოფიითა და აღმოსავლეთის მისტიკით, იგი სტოვებს ეგვიპტეს და აარსებს რომში საკუთარ ფილოსოფიურ სკოლას. სულ მალე იგი იპყრობს რომის მაღალი საზოგადოების ყურადღებას, მის თაყვანისმცემელთა რიცხვში იმპერატორი და მისი მეუღლეც ითვლება.

პლოტინის ფილოსოფია იწყება ღმერთის ცნებით, მისი მიზანია ადამიანს გონების საშუალებით, ხოლო იქ, სადაც გონება აღარ სწვდება, ექსტაზით, ასწავლოს გაერთიანება ღმერთთან. რადგან ღმერთთან გაერთიანების პირობა არის სიკვდილი, ამიტომ პლოტინის დაუღალავი გენია ახალსა და ახალ ჰიმნებს სთხზავს სიკვდილის სადიდებლად სხეულის დასათრგუნველად და სულის გადასარჩენად სხეულობრივ-მატერიალური ტყვეობისაგან. მართალია, იგი ძირითადად ეყრდნობა პლატონის იდეალიზმს, მაგრამ მისი თეოსოფიისათვის კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის მიერ გამომუშავებული არც მეთოდია საკმარისი და არც მსოფლგაგება. მას არ აკმაყოფილებს არც არისტოტელის ლოგიკური გზა ღმერთთან მისვლისა და არც პლატონის დიალექტიკა. კლასიკოსებს არ მოეპოვებოდათ არც ღმერთი—აბსოლუტი, არც პერსონალურად უკვდავი სულის იდეა, არც ხორცის დათრგუნვა და ასკეტიზმი. პლოტინს კი, რომელიც მოვალეა ბერძნულ ნიადაგზე დაყრდნობით შეჰქმნას ქრისტიანობის შემცველი მსოფლგაგება, ყოველივე ეს სჭირდება. პლატონი, განსაკუთრებით კი არისტოტელე, იძულებულია ანგარიში გაუწიოს რეალურ ქვეყანას, რეალურ ადამიანურ გრძნობასა და სინამდვილეს, ამიტომ პლატონი და არისტოტელე ხშირად დუალიზმის გზას მიჰყვებიან, პლოტინი კი საბოლოოდ გასწმენდს იდეალიზმს ამ დუალიზმისაგან და შეჰქმნის აბსოლუტურად დამთავრებულ სპირიტუალისტურ მონიზმს.

ღმერთი არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი, იგია აზრი, რომელიც არსებობს აზროვნებამდე. იგია **ერთი**, რომელიც არსებობს სიმრავლემდე, მას არა აქვს არც საზღვარი, არც აღნაგობა, არც გარკვეულობა, მას არც ნებისყოფა აქვს და არც აზროვნება, არც ცნობიერება და არც თვითცნობიერება, იგი გამოუთქმელი და შეუდარებელია, იგია აბსოლუტური ერთი.

მუხლმოდრეკით ევედრება პლოტინი ღმერთებს აუხსნან მას საიდუმლოება, თუ ერთისაგან როგორ წარმოიშობა სიმრავლე, ღმერთისაგან—გონება. აბსოლუტური ერთი თავისი თავიდან ასხივოსნებს (ემანაცია) სულს, რომელიც არის გონება და მსოფლიო სული, ამისაგან იმავე ემანაციის გზით წარმოიშობა ბუნება, მესამე და უკანასკნელი საფეხური შემქმედებისა. ადამიანში ერთად არის მოცემული მაღალი და დაბალი საწყისი—სული და მატერია. სული იტანჯება მატერიის ნაჭუჭში და ცდილობს მისგან განთავისუფლებას. როგორც შემქმედება აბსოლუტური ერთისაგან მატერიალურ ბუნებამდე სამსაფეხურიანი იყო, ისე სამსაფეხურიანია ადამიანის გონების გზა შემეცნებისაკენ. სრული შემეცნება არის ღმერთთან შეერთება. ამის პირველი პირობაა, რომ სული თავს განთავისუფლებს ღვთაებრივი ენერგიის უმდაბლესი გამოვლენისაგან, ე. ი. მატერიისაგან, დაადგება ღმერთის უმუალო ჭვრეტის გზას. სული უნდა აენთოს, აღტაცებას მიეცეს, იწყოს ცნობიერებას მოკლებული ტანჯვა, გარინდებული ამ ექსტაზით იგი ეზიარება ღვთაებას, ე. ი. აბსოლუტურ ერთს. აზროვნებისა და ლოგიკის საშუალებით ამ სიმაღლეზე ასვლა არ შეიძლება, ამის გზა ექსტაზი და ეროტული ჭვრეტაა. რამდენადაც ადამიანის სული მატერიის ნაჭუჭშია დამწყდეული და გრძნობელობითს აფექტებთან აქვს საქმე, იმდენად მას არ შეუძლიან ამ სიმაღლეზე ასვლა; ცხოვრებიდან განდგომით, ხორცისა და სხეულის დათრგუნვით, ასკეტობით უნდა გაიწმინდოს („კათარზის") ადამიანის სული და გახდეს ღირსი ექსტაზის მდგომარეობაში შესვლისა. მორალური ავტონომიის პრინციპიც კი განდევნა პლოტინმა თავისი ფილოსოფიიდან და ეთიკა ღმერთთან მიმსგავსებად გამოაცხადა, ე. ი. რელიგიის სამსახურში დააყენა.

ასეთი მისტიკური იდეალიზმი იყო ეპოქის მოთხოვნილება; ამით აიხსნება, რომ მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის გვერდით ეს იყო უდიდესი იდეოლოგიური მოძრაობა; რომში არსებული სკოლის გვერდით დროთა მსვლელობაში ჩამოყალიბდა სირიული, პერგამული, ათენური, ალექსანდრიული, ლათინურ - დასავლური და სხვ. სკოლები. ასობით და ათასობით ადამიანები იწყებენ ფართო აგიტაციას და ბრძოლას იმ ეპოქაში გამარჯვების გზაზე დამდგარი ქრისტიანობის წინააღმდეგ. პლოტინის მოწაფეების ძირითადი საქმიანობაა პლატონისა და არისტოტელის ნაწერების ინტერპრეტაცია, თან იმის მტკიცება, რომ ყოველივე ის, რაც ხდებოდა იმდროინდელ კაცობრიობას ქრისტიანობაში, უფრო ნათლად და გონიერად ამოიკითხებოდა ბერძნული ფილოსოფიიდან.

ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ ნეოპლატონიკოსები აღმოსავლეთს ესესხნენ უმარავ რელიგიურ მისტერიებსა და ასკეტურ კულტს და ამით შეავსეს პლატონიზმი და არისტოტელიზმი. ასე რომ, ნეოპლატონიზმი უფრო უცნაურ და ალეგორიკურ თეოსოფიად ჩამოყალიბდა, ვიდრე „მეოთხე სახარება" და „აპოკალიფსისი", ანდა ქრისტიანული გნოსტიციზმი. ნეოპლატონიზმით შეიარაღებული ანტიკური წარმართობა თავგამოდებით იცავდა თავს ქრისტიანობისაგან. მაგრამ არაფერმა უშველა. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობამ რომის იმპერიის ოფიციალურ სარწმუნოებად იქცა. მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა; იგი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ქრისტიანობამ იმთავითვე კურსი ლოგიკურად მოაზროვნე არისტოტელეზე აიღო. ნეოპლატონიზმს მოექცა ისე, როგორც ბევრ ასეთს სხვის ნამოქმედარსა და ნაწარმოებს. მას ჩუმად მოჰპარა რამდენიმე ცნება. ასე, მაგალითად, დღეს დამ-

რუსეთის დიდი მოიგავარაკე

(დაბადებიდან 170 წლის შესრულების გამო.)

ივანე კრილოვი ერთი იმ რუს მწერალთაგანია, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ი. კრილოვის უძთავრესი ნაწარმოებნი იგავ-არაკებია, რომლებიც მთლიანად თარგმნილია აკაკი წერეთლის მიერ და რამდენჯერმე გამოცემულია ცალკე წიგნად. არსებობს კრილოვის იგავ-არაკების მეორე თარგმანიც. ის პოეტ რაფიელ ერისთავს ეკუთვნის. ი. კრილოვის იგავ-არაკებს სხვა ქართველი მწერლებიც (ანტონ ფურცელაძე და სხვ.) სთარგმნიდნენ.

ი. კრილოვი დაიბადა 1768 წელს მოსკოვში. მამამისი, არმიის ოფიცერი, მეტად ღარიბად ცხოვრობდა.

წერა-კითხვა კრილოვმა მამისაგან ისწავლა. მამის გარდაცვალებას შემდეგ კრილოვის დედას არავითარი საშუალება არ გააჩნდა, რომ შვილებისათვის განათლება მეცა. მას სამოწყალოდ ასწავლეს ფრანგული ენა მეძამულე ლეონის ოჯახში. ამ ოჯახში ის უფრო ლაქია იყო, ვიდრე მოწაფე. ყმაწვილი კრილოვი იძულებული გახდა სამსახური დაეწყო. ამავე დროს გატაცებით კითხულობდა ფრანგულ და რუსულ წიგნებს.

1783 წელს კრილოვი გადაიყვანეს პეტერბურგში და სახელმწიფო სამსახური მისცეს. აქ ის გაიტაცა თეატრმა და ლიტერატურამ. გაეცნო მსახიობებს და მწერლებს. დაიწყო პირველ ხანებში პიესების წერა, შემდეგ კი ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა.

კრილოვი იწყებს თანამშრომლობას იუმორისტულ ჟურნალში და ბეჭდავს ოპოზიციურ წერილებს მთავრობის წინააღმდეგ, ამხელს და დასცინის მემამულე თავადაზნაურობის ველურ და ბრიყვულ ჩვევებს. ი. კრილოვს აპატიმრებენ და გადასახლებაში გზავნიან. გადასახლების შემდეგ მასში ხდება გარდატეხა. ერთხანს მწერლობას სრულებით ანებებს თავს. მსახურობს მდიდარ მემამულეთა ოჯახებში, ხან მასწავლებლად, ხან მდივნად. შემდეგ უახლოვდება ოლენინების კულტურულ ოჯახს და ამ ოჯახის გავლენით ისევ უბრუნდება ლიტერატურას.

კრილოვმა თავის შემოქმედებას საფუძვლად დაუდო მაშინდელი ცხოვრების ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხები. ის ჰქირდავდა, ამხელდა და დასცინოდა თავისი დროის საზოგადოების მავნე და უარყოფითს მხარეებს, როგორიც იყო მექრთამეობა, მკვეხარობა, სიზარმაცე, გონებრივი უსუსურობა და სხვ.

ი. კრილოვის იგავ-არაკები მძაფრ სოციალურ სატირას წარმოადგენს. იგი მიმართული იყო ბიუროკრატიულ - თვითმპყრობელური რუსეთის მმართველი წრეების წინააღმდეგ, ამასთანავე კრილოვის მთელ რიგ იგავ-არაკებში მოსჩანს კრიტიკა სოციალური უსამართლობისა, და ბატონყმური წყობილებისა.

ი. კრილოვის იგავ-არაკებს დიდი მოწონება ჰქონდა რადიკალურად მოაზროვნე საზოგადოებაში. ცნობილია ის მფარველობა, რომელსაც ი. კრილოვის შემოქმედებას უწევდნენ გამოჩენილი რუსი მწერლები — პუშკინი, ბელინსკი, გოგოლი. ი. კრილოვი თავისი იგავ-არაკების სიუჟეტად ხშირად იღებდა ხალხურ ანდაზებს, ხშირად იყენებდა ეზოპის, ფედრის და იგავ-არაკების სხვა გამოჩენილ მწერალთა საინტერესო თემებს, მაგრამ თავისებურად, და ისე, რომ უფარდებდა რუსეთის სინამდვილეს.



ი. კრილოვს ჰქონდა სადა, საამური, ნამდვილი ხალხური ლიტერატურული ენა და, რაც მთავარია, მდიდარი მხატვრული მეტყველება. ამის გამო ი. კრილოვის იგავ-არაკები სწრაფად ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

თავის იგავ-არაკებში ი. კრილოვს დახასიათებული ჰყავს ადამიანთა უარყოფითი ხასიათები და თვისებები, როგორიცაა სიძუნწე, ძლიქვნელობა, სიბეცე, ლაჩრობა, მოუხეშობა, ორპირობა, თვალთმაქცობა, ყოყოჩობა და სხვ. კრილოვის იგავ-არაკებში ცხოველები და მხეცები ადამიანურ ტიპებადაა ნაგულისხმევი. ვირი კრილოვის იგავ-არაკებში ყოველთვის გამოხატულია ბრიყვად, მაგრამ ეს ცხოველი ხანდახან ისეთ კაძნიერებამდე მიდის, რომ ბულბულსაც კი ურჩევს ისწავლოს გალობა მამლისაგან („ვირი და ბულბული“ და სხვ.).

ი. კრილოვმა პოპულარობას თავის სიცოცხლეშივე მიაღწია, მისი იგავ-არაკები თარგმნილია ევროპულ ენებზე. იგი იყო ნამდვილი სახალხო მწერალი. ბეთუული თაობები აღზრდილან კრილოვის იგავ-არაკებზე. კრილოვის იგავ-არაკებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ლიტერატურული მნიშვნელობა. ამიტომ აფასებს და პატივსა სცემს მის სახელს ჩვენი სოციალისტური ქვეყანა.

ბ. ბ.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის გაფართოება

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით მიმდინარეობს ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებლობის ქარხნის რეკონსტრუქცია. ქარხანას ემატება ახალი საამქროები: მექანიკური და საამწყობო, რომლებშიაც იმუშავებს 200 კაცი. გაფართოვდება აგრეთვე სახარატო, საზეინკლო და სადურგლო საამქროები. ეს საამქროები მოთავსებული იქნება ახალ კორპუსში, რომლის მშენებლობა დასრულდება ა. წ. მე-4 კვარტალში.

ახალი საამქროების მოწყობილობათა შესაძენად გადადებულია 300 ათასი მანეთი. ქარხნის რეკონსტრუქცია სულ დაჯდება 1.360 ათასი მანეთი.

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის გაფართოებასთან დაკავშირებით დაწყებულია საბინაო მშენებლობა ქარხნის მუშამოსამსახურეებისათვის. გათვალისწინებულია ორი 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება; ერთი მათგანი აშენდება საბჭოს ქუჩაზე. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გეგმით უნდა დასრულდეს მე-4 კვარტალში. (საქდესი).

ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომათა ბიბლიოგრაფია

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საკონსულტაციო - საბიბლიოგრაფიო განყოფილება გამოსაცემად ამზადებს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას შრომათა სრულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელს ქართულ და რუსულ ენებზე.

წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისა იქნება, მასში მოთავსდება ამხანაგ ბერიას წიგნების, სიტყვების, სტატიებისა და მოხსენებების აღწერილობა — წყაროებზე მითითებით.

წიგნის შედგენა დამთავრდება უახლოეს ხანში და გადაეცემა წარმოებას დასაბეჭდად.

ⓞ

გარდა ამისა, დამზადებულია და დასაბეჭდად გადაეცა წარმოებას ბიბლიოგრაფიული საძიებელი „მარქსიზმის კლასიკოსები“.

წიგნში მოთავსებულია კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ყველა ნაწარმოებნი, რაც ქართულ ენაზე მოიპოვება.

რენტგენის სხივები ერმიტაჟში

ლენინგრადი, (საკ. კორ.) მიმდინარე წლის 10 თებერვალს 15 წელი სრულდება დიდი მეცნიერის რენტგენის გარდაცვალებიდან. რენტგენის გენიალურმა აღმოჩენამ მრავალი სამსახური გაუწია როგორც მედიცინას, ისე სხვა დარგებსაც.

ლენინგრადის ერმიტაჟში დიდი ხანი როდია, რაც ორიგინალური დაწესებულება მოეწყო — რენტგენის ლაბორატორია. ლაბორატორიის მიზანია ერმიტაჟში თავმყრილ სიძველეთა და სურათების გამოკვლევა და ზოგჯერ ნამდვილი ავტორის ვინაობის დადგენა.

რენტგენის ახალმა გამოყენებამ ერმიტაჟს საშუალება მისცა გამოერკვია, რომ სურათების ფონდში შენახული ტილო „ანგელოსი“ ეკუთვნის გენიალურ ლეონარდო-დავინჩის ფუნჯს. ლაბორატორიის შეწეობით შემოწმდა რამდენიმე სურათი, რომელთა ავტორების ვინაობა ეჭვს იწვევდა. გამოირკვა, რომ ბევრ სურათზე რესტავრატორების მიერ ხელმოწერილი იყო სრულიად სხვა მხატვართა სახელი. ერთ სურათზე რენტგენის სხივებმა გამოაჟღავნეს, რომ ზეთის ფერების ფენას ქვეშეთ კაცის უცნობი პორტრეტი ყოფილა დახატული.

რენტგენის დადგმულობის შემწეობით ერმიტაჟმა შესძლო ბევრი სადაო საკითხის გადაჭრა.

ო. თ. ეგაძე.

გემმა „ბათუმმა“ გაიარა 3 ოკეანე და 13 ზღვა

ოდესა, 11 თებერვალი (საკდესი). 7 თებერვალს დედამიწის გარშემო მოგზაურობა დაამთავრა და ტუაპსეს ნავსადგურში დაბრუნდა შავი ზღვის ტანკერი „ბათუმი“. გემი, რომლის შესანიშნავი მოგზაურობა დაიწყო 1936 წლის დეკემბერს, სამშობლოში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც გაიარა 3 ოკეანე, 13 ზღვა და 8 სრუტე. 14 თვის განმავლობაში „ბათუმმა“ საერთო ანგარიშით გაიარა 85 ათასამდე მილი.

თბილისი.—ითავრდება ახალი საცხოვრებელი სახლის შენებლობა ჩელუსკინელთა მოედანზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ყინულმჭრელები „იოსებ სტალინი“ და „ვიაჩესლავ მოლოტოვი“

ლენინგრადი, (საკ. კორ.) ეასული წლის ზაფხულზე, ლენინგრადის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენი ქარხნის სტაპელებიდან ნევაში ჩაუშვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერი ყინულმჭრელის „იოსებ სტალინის“ კორპუსი, რის შემდეგ დაიწყო წყალზევითი სამუშაოები.

ყინულმჭრელის ეკიპაჟის შედგენა თითქმის დამთავრებულია. ჩრდილოეთის ფლოტის 48 მეზღვაური უკვე ჩარიცხულია „იოსებ სტალინის“ კომანდაში. დანარჩენი 120 მეზღვაური უმთავრესად ყინულმჭრელი „ერმაკიდან“ გადაჰყავთ. ისინი ახლა მეცადინეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, რის დამთავრების შემდეგ ნაწილი იმუშავებს ყინულმჭრელ „ლაზარ კაგანოვიჩზე“, ხოლო დანარჩენი მომსახურებას გაუწევს „იოსებ სტალინს“.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა გემის იმ ვარაუდით დასამთავრებლად, რომ არქტიკული ფლოტის მომავალი ფლაგმანი, არქტიკული ნავიგაციის გახსნისათვის წინ გაუძღვეს საბჭოთა ქარავანებს მურმანსკიდან ვლადივოსტოკში და უკან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის გავლით.

ⓞ

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ ნევაში ჩაშვების შემდეგ მისი აგება რკინა-ბეტონის სტაპელებზე მეორე უდიდესმა ყინულმჭრელმა „ვიაჩესლავ მოლოტოვმა“ დაიწყო. ყინულმჭრელი „ვიაჩესლავ მოლოტოვი“ ისეთივე იქნება, როგორიც „იოსებ სტალინია“. მისი სიგრძე ბევრად აღემატება მსოფლიოს უდიდეს არქტიკულ გემ „კრასინს“.

გემზე დადგმული იქნება ძლიერი რადიოსადგური, მოეწყობა კომფორტაბელური კაიუტები, სალექციო დარბაზები, კინო-თეატრი და სხვ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲭᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

სუსტად დაიწყო ტურნირი ფალავანდაშვილმა. მეორე ტურში მისმა მოწინააღმდეგემ არუთინოვმა შავებით აირჩია ფრანგული დებიუტის საცველა ვარიანტი, რაც თეორიაში არ ითვლება კარგად. მიუხედავად ამისა, ფალავანდაშვილმა ვერ შესძლო ვერაგითარი უპირატესობის მიღება, პირიქით, მისი პასიური თამაშის წყალობათ უპირატესობა ხელთ იგდო მოწინააღმდეგემ, რომელმაც შესძლო პარტიის მოგებაც.

მაგრე დაამთავრეს თავიანთი პარტია ოლოვმა და ნერსესოვმა. ოლოვი ვერ გაერკვა რთულ მდგომარეობაში და უხეში შეცდომით წაგო პარტია.

სერედამ ძალზე ბევრი დრო მოახმარა სადებიუტო სვლებზე ფიქრს, მისმა მოწინააღმდეგემ შიშოვმა შესწირა პაიკი და მიიღო იერაშის შესაძლებლობა სერედას მეფის ფლანგზე. ცეიტნოტში მყოფმა სერედამ ვერ გამონახა კარგი თავდაცვა და დასთმო პარტია.

აბრამიან — მალუნცევის პარტია (ახალი ინდიური დებიუტი) პოზიციურად და მშვიდად მიმდინარეობდა, პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები ხუთი საათის თამაშის შემდეგ არ დამთავრებულა და გადადიდო.

ხოტელაშვილს ვეიზერთან დიდი უპირატესობა აქვს. მოსალოდნელია, რომ პარტიას მოიგებს.

სოროკინ—მირზაევის პარტიაში უკანასკნელს ორიგინალური თამაშის წყალობით საგრძნობი პოზიციური უპირატესობა აქვს.

ღამბარაშვილმა ასოვსკის წინააღმდეგ ცეიტნოტში ხელიდან გაუშვა პარტია მოგება; გადადებულ პარტიაშიც ღამბარაშვილს რაოდენადმე უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ებრაილიძე — ფირცხალავას პარტიაში ებრაილიძეს თუმცა ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ პარტიის მოგება ძალზე საეჭვოა.

○

მესამე ტური შესდგება 12 თებერვალს. თამაშობენ: არუთინოვი—ასოვსკი, სოროკინი—ფალავანდიშვილი, სერედა—ნერსესოვი, ხოტელაშვილი—შიშოვი, მალუნცევი—ვეიზერი, ფირცხალავა—აბრამიანი, სოროკინი—ებრაილიძე და ღამბარაშვილი—მირზაევი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 657

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1938 წლის 10 თებერვალს.

გავეცანი რა საგარეჯოს განათლების განყოფილების 1938 წლის 2 თებერვლის ბრძანებას № 20 მასწავლებელთა განთავისუფლება-გადაჯგუფების შესახებ, ვბრძანებ:

1. გაუქმდეს აღნიშნული ბრძანება, როგორც უკანონო.

2. დაბრუნებულ იქნან თავიანთ ადგილებზე საგარეჯოს მეორე დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ე. წილოსანი, ა. გარსიაშვილი და ძ. გულისაშვილი.

3. გამოეცხადოს საყვედური საგარეჯოს მეორე დაწყებითი სკოლის გამგეს ელენე უაჯრიშვილს სკოლაში არაჯანსაღი მდგომარეობის შექმნისათვის (კინკლაობა და სხვა) და დაინიშნოს იგი ბერთუბნის დაწყებითი სკოლის გამგედ.

4. ბერთუბნის დაწყებითი სკოლის გამგე ს. მიქაძე დაინიშნოს საგარეჯოს მეორე დაწყებითი სკოლის გამგედ.

5. უფლების გადამეტებისა და მასწავლებლებისადმი უსულგულობიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან საგარეჯოს განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ამხ. ვ. დაშნიანი.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. განათლების სახალხო კომისარი **ერ. ბურჭულაძე.**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის „სოციალიზმი და რელიგია“, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილება—„პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“ და რ. ი. ეიხეს მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1938 წლის 18 იანვარს—„სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესახებ 1938 წლისათვის“.

○

საქ. გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემით გამოვიდა ფრენსის ინგგზეზეზედის „იერიშები ევერესტზე“, თარგმანი **კ.** ნადირაძისა და **მ.** პატარიძისა.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

15 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის კრიტიკოსთა სექცია მართავს დისკუსიას თემაზე: „ქართული საბჭოთა პროზა 1937 წელს“.

მომხსენებელი ამხ. ვანო წულუკიძე.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და კრიტიკოსები.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲜᲘᲭᲘ

ᲛᲝᲛᲓᲘᲠᲐᲢᲘ ᲒᲘᲢᲐᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲕᲐ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ

ოდესის ფილარმონიის მიწვევით ამ დღეებში ოდესაში მიემგზავრება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი ორდენოსანი პ. ამირანაშვილი.

პ. ამირანაშვილი ოდესაში გამართავს ორ კონცერტს და მონაწილეობას მიიღებს ქართული მუსიკისადმი მიძღვნილ სიმფონიურ კონცერტში, რომელიც თებერვლის მეორე ნახევარში ქ. ოდესაში იმართება.

○

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) 13 თებერვალს გაიმართება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტის ორდენოსან პ. ამირანაშვილის შემოქმედებითი საღამო-კონცერტი. კონცერტზე შესრულებული იქნება ქართველი, რუსი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

თბილისი.—გარეუბნის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი 150 ბავშვისათვის. **სურათზე:** ბავშვები მიდიან სასეირნოდ.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

13 თებერვალს

აგიტაციის კაბინეტი — კოხსულტაცია თემაზე: სოციალისტური რევოლუცია და გლეხობა. კონსულტანტები ქართულ ენაზე—ამხ. ბოიკაძე, რუსულ ენაზე—ამხ. მურჩაშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ალფეფ თოფსს-ძე წიტაშვილს დაუყოვნებლივ გამოცხადოს რაიკომის გასაკუთრებულ სეკტორში.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

კ. შეროზია.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ერთდრ. ტალ. № 1
12/II დღითი **ᲓᲐᲘᲡ**
დასაწყ. 12 საათზე.

მუდმ. ადგ. ტალ. № 103
12/II ᲮᲐᲓᲐᲛᲘᲗ **ᲥᲔᲗᲝ ᲓᲐ ᲙᲝᲯᲝ**

თუდმ. ადგ. ტალონი № 104
13/II **ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ**
დირიჟორი—ნ. რაბინოვიჩი.
სოლისტი—დ. შოხტაკოვიჩი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

12/II წარმოდგენა 98 **ᲜᲐᲪᲘᲔᲠᲜᲙᲚᲘᲓᲐᲜ**

14/II წარმოდგენა 99 **ᲐᲚᲙᲐᲖᲐᲠ**

15/II წარმოდგენა 100 **ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲗᲐᲠᲒᲐ**

13 თებერვლიდან გაიცემა მუდმივი ადგილების ბილეთები, მე-4 გადასახადი სავალდებულოა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუფეტ-ტერიაში დილის 12 საათიდან 4 საათამდე სათანადო მინდობილობის წარდგენით, სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

12/II დილის წარმოდგენა **ᲘᲪᲙᲐ ᲠᲘᲥᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
დასაწყ. დილის 12 საათზე

12/II წარმ. № 101 **ᲤᲘᲒᲐᲠᲝᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ**

14/II წარმ. № 102 **ᲤᲘᲒᲐᲠᲝᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ**

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ. ტელ. 3-11-44

დღეს, 12 თებერვალს
ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲘᲗ დასაწყ. 2 ს.
ახალი ვრცელი პროგრამა
პირველად ატრაქციონი
ᲜᲘᲐᲒᲐ-ᲛᲐᲠᲐ. აგრეთვე **ᲔᲙᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲐᲚᲘᲡᲙᲘᲡ** ცხოველები
და სხვა ნომრები.
ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲜᲘ—დასაწყ. 8 ს. 30 წ.
მრავალფეროვანი ვრცელი პროგრამა
3 განყოფილებად
ატრაქციონი **ᲜᲘᲐᲒᲐ-ᲛᲐᲠᲐ,** ეკლერის **ᲓᲐᲛᲘᲗᲔᲑᲘ** და **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ**
13 თებერვალს დიდი წარმოდგენა.

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29

12 თებერვალს ტალ. № 42
I. ᲮᲐᲚᲐᲛᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲐ
ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის
ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲘᲡ ხელმძღვანელობით.
დირიჟორი **დ. ᲯᲐᲕᲐᲮᲫᲔ**
II. ᲙᲐᲛᲔᲠᲢᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
პროგრამაში: სიმღერა, ცეკვა, ფახდური.
დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ.

13 თებერვალს ტალონი № 43
ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲝᲚᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ
I. ᲢᲘᲜᲘᲒᲐᲨᲕᲘ ვოდევილი 1 მოქმ.
II. ᲛᲔᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ
კომედია 2 მოქმ.
დაწვრილებით აფიშებში
ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს 30 წ.
მესამე ზარის შემდეგ დარბაზში
არავის შეუშვებენ.

14—15—16 თებერვალს ტალონები №№ 44, 45, 46
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ
ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲔᲚᲐᲫᲔᲛᲘ
სატირა—იუმორი
ᲛᲐᲠᲘᲐ ᲓᲝᲜᲘᲜᲐ
ᲛᲘᲠᲝᲚᲘ ᲠᲐᲡᲙᲐᲢᲝᲕᲘ
ქსილოფონი, ჰავაიური გიტარა
Ე. ᲙᲝᲠᲝᲚᲝᲕᲐ და **Ი. ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘ**
აკრობატ. ცეკვა
ᲝᲚᲒᲐ ᲑᲝᲚᲣᲒᲔᲕᲐ
საკონცერტო სიმღერები
ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲚᲔᲛᲘᲜᲘ და **ᲡᲔᲠ. ᲠᲣᲡᲐᲜᲝᲕᲘ**
ᲐᲚ. ᲚᲔᲓᲚᲘᲐᲠᲝᲕᲐ და **ᲐᲚ. ᲡᲘᲛᲝᲚᲙᲘ**
ბოშური ცეკვები
Ო. ᲠᲘ ᲜᲔᲓᲔᲚᲘ
კონფერანსიე—**კონსტანტინე ედუარდის-ძე ᲒᲘᲒᲨᲕᲐᲜᲘ.** ჯაზი **ს. ᲑᲐᲑᲝᲕᲘᲡ**
ხელმძღვანელობით. ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ. 17669

ლენრაიონის 1 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **პ. ᲚᲝᲛᲘᲐ** ამით აცხადებს, რომ ა/წ. 17 თებერვალს, 1-ლ საათზე ქ. თბილისში, საბჭოს ქ. № 309,

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ლავრენტი ევგენის-ძე **ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲡ** კუთვნილ სახლს, შემდგარს სამი ოთახისგან პირველ სართულზე.

სახლი შეფასებულია 3.000 მანეთად და გაიყიდება თამარ ლეონიძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ლენრაიონის ს ხ. სასამართლოს მიერ 1937 წლის 3 დეკემბერს გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა № 2/1476.

17670

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲖᲛᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ მესამე საუკუნის დამლევამდე ქრისტიანული მწერლობა არ იცნობს სამპიროვან ღმერთს. სამპიროვანი ღმერთის დოგმა ქრისტიანობამ აიღო ნეოპლატონური დიალექტიკური ტრიადის ცნებიდან, და შეუერთა იგი თავის დოგმატს.

დამთავრებული სახე ნეოპლატონიზმს მისცა სირიელი სკოლის მამამთავარმა იამბლიხმა. მან ფილოსოფია საბოლოოდ დააყენა რელიგიის სამსახურში, ღმერთების გვერდით ფილოსოფიაში შემოიყვანა ანგელოსები და ბევრი სხვა თეოსოფიური სისულელე, შეეცადა პლატონიზმის დახმარებით შეექმნა ისეთი ფართო რელიგიური მეტაფიზიკა, რომელშიაც ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის ღმერთი თავისუფალ ადგილს მიიღებდა. იქ ადგილი არ მოიპოვებოდა მხოლოდ ქრისტიანული ღმერთისათვის. უუმაღლესი სათნოება არის ხუცესის სათნოებაო, ხუცესი მაღლა დგას ფილოსოფოსზე, რადგან მას შთაგონებული აქვს ღვთაებრივი გამოცხადების საიდუმლოებაო. და თუ ამას დავსძენთ, რომ იამბლიხი იცავდა მანტიკას, ათასნაირ მისტერიას და თეურგიულ სასწაულმოქმედებას, მაშინ, ცხადია, თვით ქრისტიანობა ნეოპლატონიზმთან შედარებით შეიძლება უფრო გონებასთან ახლო მდგომ გარემოებად მოგვეჩვენოს.

თუ რაოდენ თვალსაჩინო რელიგიურ მოძრაობად იქცა მეოთხე საუკუნის შუაათეული წლებისათვის ნეოპლატონიზმი, ეს სჩანს იქიდანაც, რომ იამბლიხის თეოსოფიით გატაცებული იულიანე ავიდა თუ არა 361 წელს კეისრის ტახტზე, მან გააუქმა ქრისტიანობა და აღადგინა წარმართობა. მაგრამ ნეოპლატონური წარმართობის ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. წელიწადნახევრის შემდეგ იმპერატორი ომში დაიღუპა და ქრისტიანობა აღდგენილ იქნა სრული თავისი ძლიერებით.

ამიერიდან იწყება ნეოპლატონიზმის ისტორიის მეორე პერიოდი, მეტნაწილად ქრისტიანული. აქამდე ნეოპლატონიზმში ყველა რელიგიის ღმერთისათვის იყო ადგილი გამონახული, ხოლო ქრისტიანული ღმერთი არ ყოფილა იქ წარმოდგენილი. ახლა ნეოპლატონიზმი იძულებულია ძალას ანგარიში გაუწიოს და ღმერთების სასუფეველში ქრისტიანული ღმერთისათვის საპატიო ადგილი გამონახოს. ახლა იგი ამტკიცებს, რომ ქრისტე და პლატონი ერთნაირად განიცდიან ღვთაებას.

ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი ფილოსოფოსი, ათენური სკოლის მეთაური, სირიელი **პროკლე** (410—485) უკვე ასეთი შერიგების გზაზე დამდგარა, თუმცა იგი ჯერ კიდევ წარმართი რჩება. აზროვნების ისტორიაში ძნელია კიდევ მოინახოს ასეთი ნარევი აზრმახვილი დიალექტიკისა, ფილოსოფიური სპეკულაციისა, მათემატიკური აბსტრაქციისა, ზუსტი განსწავლულობისა და უაზრო, ცრუმორწმუნეობაზე აგებული მისტიკისა, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველობის, მკვდრეთით აღდგომის რწმენისა და სხვა ათასი ასეთი შეუსაბამობისა, როგორც პროკლეს ნააზრევში გვხვდება. იგი იყო აზრმახვილი კომენტატორი ევკლიდეს გეომეტრიისა და პლატონის დიალოგებისა და ამავე დროს ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი აღმოსავლური მისტიციზმისა. პროკლე უკანასკნელი სისტემატიკოსია ნეოპლატონიზმისა, მისი წარმართობისა და მისი თეოლოგიისა. იგი ლოგიკური სქოლასტიკის აშენებისას არისტოტელესაც იყენებს, მაგრამ თავის მოძღვრებას შეგნებულად პლატონზე აშენებს და პლატონს შეგნებულად არისტოტელეზე მაღლა აყენებს. ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი იყო პროკლეს მიერ საბოლოოდ დამუშავებული ტრიადული დიალექტიკის მეთოდი. მისი ტრიადა განვითარების პრინციპია, მსგავსი ჰეგელის თეზისისა, ანტითეზისისა და სინთეზისისა, იმ განსხვავებით, რომ დასაწყისში მოცემულია სავსეობა, დასასრულში კი გამოფიტება და დაცალიერება. ასე რომ, პროკლეს დიალექტიკა რეგრესის გამართლებაა და არა პროგრესისა, სიკვდილის ჰიმნთა და არა სიცოცხლისა. მაგრამ როცა შემეცნებიდან ღმერთების ქვეყანაში გადაიტანს თავის დიალექტიკას, აქ მას ტრიადა აღარ ჰყოფნის და ნეოპითაგორეულ შვიდსაფეხურიან პროცესის მისტიკას დაუშენებს თავის ცალიერ ცნებათა სქოლასტიკას. ამით აიხსნება, რომ პროკლე ერთერთი მთავარი დასაყრდენი იყო როგორც ბიზანტიური, ისე ლათინური სქოლასტიკისათვის. ედ. ცელერი მას სამართლიანად ანტიკურობის უდიდეს სქოლასტიკოსს უწოდებს. და ცნებათა სქოლასტიკასთან შეერთებულია ისეთი